პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
28 ივლისი
1940 წ.
№ 173 (5874)
ფასი 10 კაპ.

დღეს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა



„სამშობლოსათვის, დიდი სტალინისათვის"—გამომცემლობა „ისკუსსტვოს" მიერ გამოშვებული პლაკატი მხატვარ ვ. კორეცკისა. საქდესის ფოტოქრონიკა

სოციალიზმის ქვეყნის მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი

დღეს საბჭოთა მრავალმილიონიანი ხალხი კვლავ ზეიმით აღნიშნავს სოციალიზმის ქვეყნის მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბრწყინვალე დღესასწაულს. ეს სავსებით გასაგებიცაა.

არსად, არცერთ ქვეყანაში არმია და ფლოტი არ არის გარემოცული ხალხის ისეთი უსაზღვრო სიყვარულით და მზრუნველობით, როგორც ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში. ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი საბჭოთა გმირი ხალხის, ლენინ-სტალინის პარტიის პირმშონი არიან. სწორედ გმირი საბჭოთა ხალხისაგან შეისისხლხორცეს ჩვენმა მშობლიურმა წითელმა არმიამ და ჩვენმა სახელოვანმა მეზღვაურებმა გაბედულების, სიმამაცისა და შეუდრეკელობის კეთილშობილი თვისებები. ჩვენი სახელოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტი გმირი რუსი ხალხის საზღვაო ტრადიციების ღირსეული მემკვიდრეა.

საბჭოთა ქვეყნის ისტორიას ახსოვს, როგორ თავგამოდებით და ვაჟკაცურად იბრძოდნენ მეზღვაურები მტრის ურდოების წინააღმდეგ. ცარიზმის ბატონობის წლებშიაც კი, რუსი მეზღვაურები გვიჩვენებდნენ გმირობისა და სიმამაცის ნიმუშებს. ბრძოლის შესანიშნავი მაგალითები გვიჩვენეს რევოლუციურად განწყობილმა მეზღვაურებმა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

განა გმირულმა კრეისერმა „ავრორამ" არ ამცნო ქვეყანას ქვემეხების მძლავრი გრიალით ახალი ერის, კომუნიზმის ერის დასაწყისი? განა ჩვენი სახელოვანი მეზღვაურები არ იბრძოდნენ ასე შეუპოვრად და თავგამოდებით ინტერვენტების წინააღმდეგ სამოქალაქო ომის პერიოდში, როცა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა ცეცხლის რკალში იყო გახვეული? განა გმირობის და სიმამაცის ასეთივე შესანიშნავი მაგალითები არ გვიჩვენეს ბალტიის ფლოტის მეზღვაურებმა თეთრფინელებთან ბრძოლაში?

ყველგან და ყოველთვის წითელი მეზღვაურები, რომლებიც აღიზარდნენ საზღვაო ფლოტის რევოლუციურ ტრადიციებზე, სოციალისტური სამშობლოსადმი, დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით გვიჩვენებდენ განსაცვიფრებელ გმირობას, რითაც დიდების შარავანდედით შემოსეს სოციალიზმის ქვეყანა.

საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარს სამხედრო-საზღვაო ფლოტი, იგი არაფერს არ ზოგავს იმისათვის, რომ ჩვენი საზღვაო ფლოტი იყოს მსოფლიოში ყველაზე უფრო ძლიერი.

სსრ კავშირის I სესიაზე საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხ. ვ. მ. მოლოტოვი აღნიშნავდა, რომ „ჩვენი საბჭოთა წყობილება ძლიერია და სურს კიდევ უფრო ძლიერი იყოს, სურს მიუვალი იყოს მტრებისათვის. აქედან ჩვენ გამოგვყავს დასკვნა, რომ ჩვენ გვჭირდება ძლიერი წითელი არმია და ჩვენ გვჭირდება ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს მისი ინტერესების შესაფერი, ჩვენი დიადი საქმის შესაფერი საზღვაო და საოკეანო ფლოტი".

იმ უდიდესი მზრუნველობის შედეგად, რომელსაც იჩენს სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი ბოლშევიკების პარტია და პირადად დიდი **სტალინი**, სოციალიზმის ქვეყნის სამხედრო - საზღვაო ფლოტი გადაიქცა მძლავრ და მრისხანე ძალად, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანობის ურყევ ბურჯად. სოციალისტური სამშობლოს ნაპირებს ფხიზლად იცავენ მსოფლიოში უძლიერესი და უდიდესი ხომალდები — დაწყებული კატარღებიდან და წყალქვეშა ნავებიდან, დამთავრებული გიგანტური დრედნოუტებით. ზღვებში და ოკეანეებში ამაყად დასცურავენ საბჭოთა გემსაშენებში აშენებული მძლავრი ხომალდები, რომელნიც მზად არიან პირველ დაძახებისთანავე გაანადგურონ მტერი მისსავე წყლებში.

სამხედრო-საზღვაო ფლოტს ჰყავს სტალინური წრთობის შესანიშნავი ადამიანები, საყოველთაოდ ცნობილი ადმირალები, მეთაურები, პოლიტმუშაკები და მეზღვაურები. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც უდიდესი სიამაყით და განსაკუთრებული სიფაქიზით ატარებენ გულში დიდი ბელადის სიტყვებს, რომლითაც მან მიმართა კრეისერ „ჩერვონა უკრაინას" მეზღვაურებს:

„...შესანიშნავი ადამიანები, გაბედული, კულტურული ამხანაგები, რომლებიც მზად არიან გასწირონ ყველაფერი ჩვენი საერთო საქმისათვის. სასიამოვნოა ასეთ ამხანაგებთან საქმის დაჭერა. სასიამოვნოა ასეთ მებრძოლთა რიგებში მტერთან ბრძოლა. ასეთ ამხანაგებთან ერთად შეიძლება ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა მთელი სამყაროს დამარცხება"...

ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტი თავისი შესანიშნავი ადამიანებით მზად არის თავზე რისხვა დაატეხოს გაბოროტებულ მტერს, თუ კი ის გაბედავს ბინძური ხელები შეახოს სოციალიზმის ქვეყნის წმინდათაწმინდა საზღვრებს.

გასული წლის 24 ივლისს პირველად აღინიშნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე. ამ ერთი წლის განმავლობაში სამხედრო - საზღვაო ფლოტმა მთელ რიგ ახალ გამარჯვებებს მიაღწია არა მარტო გემთმშენებლობის თვალსაზრისით, არამედ სამხედრო საბრძოლო ტექნიკის დაუფლების მხრივაც. სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესასწაული, რომელიც წელს გართულებულ საერთაშორისო ვითარებაში ტარდება, იქნება ჩვენი საზღვაო ფლოტის სიდიადისა და უძლეველობის გრანდიოზული დემონსტრაცია.

მეორე იმპერიალისტური ომის ხანძარი სულ უფრო და უფრო ფართოვდება მსოფლიოში. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყოველგვარი მოულოდნელობისათვის. საბჭოთა ხალხი ერთი წუთითაც არ დაივიწყებს ბელადის ბრძნულ მითითებას იმის შესახებ, რომ: „საჭიროა ყოველნაირად გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, თავდაცვა-ავიაქიმი. საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა ვერავითარმა „შემთხვევითობამ" და ჩვენი გარეშე მტრების ვერავითარმა ოინებმა ვერ მოგვისწროს მოუმზადებელს..."

საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეს ჩვენ ვუგზავნით მხურვალე სალამს და უგულითადეს სურვილებს ჩვენი ქვეყნის საზღვაო საზღვრების ფხიზელ გუშაგებს, წითელ მეზღვაურებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს.

დაე უფრო მძლავრი, უძლეველი და მტრებისათვის თავზარდამცემი გახდეს ჩვენი სახელოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

იმასთან დაკავშირებით, რომ რუმინეთის ხელისუფლება ზოგიერთ შემთხვევაში აბრკოლებდა სამშობლოში ბესარაბიელთა ევაკუაციას და ხელს უწყობდა მათს აბუჩად აგდებას, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გენერალურმა მდივანმა ამხ. **სობოლევმა** 13 ივლისს რუმინეთის დესპანს ბ-ნ დავიდესკუს განცხადებით მიმართა, სადაც მოყვანილია ზოგიერთი კონკრეტული ფაქტი დაბრკოლებისა და ბესარაბიელთა აბუჩად აგდებისა, რასაც რუმინეთის ხელისუფალნი სჩადიოდნენ. გენერალურმა მდივანმა განაცხადა აგრეთვე, რომ საბჭოთა მთავრობა დაჟინებით მოითხოვს, რათა რუმინეთის მთავრობამ ყოველივე საჭირო ღონისძიება იხმაროს იმისათვის, რომ არ განმეორდეს აბუჩად აგდების აღნიშნული შემთხვევები და უზრუნველჰყოს სამშობლოში ბესარაბიელთა დაბრუნების ნორმალური პირობები.

15 ივლისს რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ მანოილესკუს ანალოგიური განცხადებით მიჰმართა სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. ლავრენტიევმა. ბ-ნმა მანოილესკუმ უპასუხა, რომ რუმინეთის მთავრობა გამოიკვლევს აღნიშნულ ფაქტებს და სიტყვა მისცა, რომ მთავრობა ყოველივე ზომას იხმარს, რათა დაბრკოლება არ შეუქმნან რუმინეთიდან ბესარაბიაში წამოსვლის მსურველ ბესარაბიელთ.

21 ივლისს რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამხ. ლავრენტიევს გადასცა პასუხი, სადაც დასტურდება ჩვენს განცხადებაში აღნიშნული ზოგიერთი ფაქტი და სადაც ნათქვამია, რომ სწარმოებს დანარჩენი ფაქტების კვლევა-ძიება.

ა. წ. 26 ივლისის ცნობების მიხედვით, რუმინეთიდან ბესარაბიაში დაბრუნდა 149.974 ბესარაბიელი. ევაკუაცია გრძელდება.

თვითმფრინავ „უკრაინის" ძირდაუშვებელი გადაფრენა ხაბაროვსკ-ლვოვის მარშრუტით

27 ივლისს დილის 8 ს. და 08 წუთზე მოსკოვის დროით კაპიტანმა მ. პ. ნესტერენკომ კაპიტან მ. გ. მიხალევასთან და უფროს ლეიტენანტ ნ. ი. რუსაკოვასთან ერთად თვითმფრინავ „უკრაინით" გაფრინდა ხაბაროვსკიდან შორი ძირდაუშვებელი მარშრუტით ხაბაროვსკ-ლვოვი.

გაფრენას ხაბაროვსკში დაესწრნენ გენერალ-პოლკოვნიკი ამხ. შტერნი, გენერალ-მაიორი ამხ. ჟიგარევი და სხვები.

17 საათსა და 32 წუთზე თვითმფრინავმა გადაუარა ტაიშეტს.

ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. (საქდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ი. ი. დოვჩენკო** დანიშნა ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

O

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ბ. ი. ორლოვსკი** დანიშნა ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისრის მოადგილედ. (საქდესი).

შარშანდელი კონფლიქტის რაიონში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და მანჯოუ-გოს შორის საზღვრის დამაზუსტებელი კომისიის მუშაობის შესახებ

ა. წ. აგვისტოს დამდეგს ქალაქ ჩიტაში მუშაობას შეუდგება შერეული კომისია, რომელშიაც შედიან: მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის რწმუნებულნი — დივიზიის მეთაური დორჟი და პოლკოვნიკი დ. ი. სმირნოვი, მანჯოუ-გოს რწმუნებულნი სიმომურა ნობუსა და ბუინმანტო.

კომისია შარშანდელი კონფლიქტის რაიონში დასდგამს სასაზღვრო ნიშნებს, აგრეთვე შეადგენს რუკებსა და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც გათვალისწინებულია საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ს. ა. ლოზოვსკისა და იაპონიის ელჩის ბ-ნ ტოგოს შორის ა. წ. 18 ივლისს მიღწეული შეთანხმებით, რაც ხელმოწერილ იქნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვსა და იაპონიის ელჩის ბ-ნ ტოგოს შორის ა. წ. 9 ივნისს დადებული შეთანხმების განსახორციელებლად.

მოსავლის აღება დამთავრდა

სიღნაღი, 27 ივლისი („კომუნისტის" კორ.). 27 ივლისისათვის სიღნაღის რაიონმა დაამთავრა 18.539 ჰექტარზე ხორბლის და ქერის აღება.

რაიონში ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს ხელითა და თვითმკრელებით აღებული მოსავლის გალეწვა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს

საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე სალამს უთვლიან სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 20 წლისთავის დღეს.

სამხრეთ-ოსეთის მშრომელები არაერთხელ აღსდგარან იარაღით ხელში ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ, მენშევიკების — ქართველი ხალხის ამ უბოროტესი მტრების, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტების—წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქართველი ხალხის ძმური დახმარებით, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა დაამხეს მენშევიკური უღელი, დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება და ლენინ-სტალინის დიადი დროშით შეუდგნენ ახალი ცხოვრების მშენებლობას.

განვლილი ოცი წლის მანძილზე საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ საბჭოთა საქართველოს ხალხთა ძმურ ოჯახში, ურღვევი სტალინური მეგობრობით შეკავშირებულებმა, მიაღწიეს დიდ წარმატებებს მრეწველობის განვითარების, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დარგში, შინაარსით სოციალისტური, ფორმით ნაციონალური კულტურის მშენებლობაში.

გაიზარდნენ მუშების, ინტელიგენციის ნაციონალური კადრები, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები; უფრო და უფრო მეტად მტკიცდებიან კოლმეურნეობები, განუხრელად ვითარდება სოციალისტური მეცხოველეობა.

ამ წარმატებებს სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა მიაღწიეს იმით, რომ ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურეს ხალხის მტრების — ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სხვა გამცემლებისა და მოღალატეების ბუდეები.

გორი—სტალინირის რკინიგზის გახსნა სამხრეთ-ოსეთში სოციალისტური მშენებლობის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვებაა.

საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის ყველა შესანიშნავი მიღწევის ინიციატორი და ორგანიზატორია დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი, საბჭოთა დაზვერვის სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია**, რომელმაც საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის ხალხები შეაკავშირა ძმურ ოჯახად, აღზარდა ისინი ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, სოციალიზმის მტრებთან შეურიგებლობის სულისკვეთებით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახკომსაბჭო დარწმუნებული არიან, რომ სამხრეთ-ოსეთის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური მშენებლობის ახალ-ახალ წარმატებებს მიაღწევენ.

გაუმარჯოს საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას!

გაუმარჯოს ხალხთა დიად სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებათა ორგანიზატორს—სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას**!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ, საყვარელ **სტალინს**!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

ლატვიის სსრ მთავრობის დადგენილება

მსხვილი მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ

რიგა, 26 ივლისი (საქდესი). იმ დეკლარაციის განსავითარებლად, რომელიც ლატვიის სეიმმა მიიღო ბანკებისა და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ, ლატვიის მთავრობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„1. ნაციონალიზებულ იქნას ყველა ბანკი, დამზღვევი საზოგადოება, საკრედიტო დაწესებულება, ლომბარდი და კერძო პირთა სეიფები.

2. დაუყოვნებლივ ნაციონალიზებულ იქნას სამრეწველო საწარმოები განსაკუთრებული სიის მიხედვით.

3. სიებში ჩაშოთვლილ ნაციონალიზებულ საწარმოებში დაინიშნებიან სახელმწიფო კომისრები. მსხვილ და სახელმწიფო მეურნეობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამრეწველო საწარმოებში კომისრებს ნიშნავს ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი. დანარჩენ საწარმოებში კომისრებს ნიშნავენ მაზრის სამისოდ რწმუნებული თანამდებობის პირნი, ადგილობრივ პროფესიულ ორგანიზაციათა დასტურით, ხოლო თანამდებობაზე მათ ამტკიცებს მინისტრი.

4. ნაციონალიზებულ საწარმოთა მისაღებად არსდება 3-5 კაცისაგან შემდგარი კომისიები ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს, პროფესიული ორგანიზაციებისა და მუშათა კომიტეტების წარმომადგენლებისაგან. მიმღები კომისიები კომისრების ხელმძღვანელობით მუშაობენ.

5. კანონის გამოცემის მომენტში საწარმოს პატრონის ან დირექტორის ყველა განკარგულება და საწარმოს მფლობელისა ან დირექტორის მიერ გაცემული ყველა დოკუმენტი ძალას ჰკარგავს, თუ მას ხელს არ აწერს სათანადო საწარმოს კომისარი.

6. ბანკის კომისრების მოვალეობას შეადგენს: თვალყური ადევნონ ბანკის და საკრედიტო დაწესებულებათა ყველა მიმდინარე ანგარიშებსა და ფასიან ქაღალდებს, მიმდინარე საჭიროების ფარგლებში დააკრედიტონ მრეწველობა და სამეურნეო საწარმონი.

7. სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა ნორმალური მუშაობისათვის საჭირო ფულადი თანხები შევსებულ უნდა იქნან ამ საწარმოთა მოთხოვნით. ეს თანხები უნდა დაამტკიცონ პროფესიულმა ორგანიზაციებმა, ამასთან თვითეულ ცალკე შემთხვევაში საჭიროა ბანკის კომისრის ნებართვა.

8. კერძო პირებს, რომელთაც ბანკებში და საკრედიტო დაწესებულებებში აქვთ ანაბარები, შეიძლება მიეცეს არაუმეტეს ასი ლატისა თვეში, მასთან ბანკის კომისრის ნებართვით.

9. მთელი ძვირფასი ლითონი, როგორც ზოდებად, ისე ნაკეთობის სახით, აგრეთვე ძვირფასი ქვები, რომლებიც საიუველირო მაღაზიებში ინახება, შესაბამად უნდა გადაეცეს ბანკს. ფინანსთა მინისტრს რწმუნებულება ეძლევა დაუყოვნებლივ გამოსცეს სათანადო განკარგულება.

10. ყველა ნაციონალიზებული ბანკისა და სამრეწველო საწარმოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი თავის სამუშაოზე რჩება და განაგრძობს თავის მოვალეობების შესრულებას.

11. მინისტრთა კაბინეტი მოაგონებს, რომ საბოტაჟის ყოველგვარი ცდა კანონის მთელი სისასტიკით დაისჯება.

12. მინისტრთა კაბინეტი მოუწოდებს ნაციონალიზებული საწარმოებისა და ბანკების ყველა მუშასა და მოსამსახურეს, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და აყვავებისაკენ".

აყვავებული სამხრეთ-ოსეთი

შესრულდა 20 წელი მას შემდეგ, რაც თავისუფლების მოყვარულმა სამხრეთ-ოსეთის მშრომელმა ხალხმა სამხრეთ-ოსეთში გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ოსი ხალხი მოძმე ქართველ და კავკასიელ ხალხებთან ერთად განიცდიდა დამპყრობელთა დევნასა და უმაგალითო შევიწროებას. სამხრეთ-ოსეთის მშრომელი ხალხის ისტორიას ახსოვს მტრებისაგან მრავალჯერ აწიოკება, ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვა. მაგრამ ოსეთის ისტორიას ახსოვს ისიც, თუ როგორი გმირობით და პატრიოტული გრძნობებით აღგზნებული სამშობლოს სახელოვანი შვილები იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ, ადამიანური ღირსებისათვის, ხალხის თავისუფლებისათვის.

ოცი წლის წინათ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ქართველი და დიდი რუსი ხალხის დახმარებით სამხრეთ-ოსეთის ხალხმა გაბედულად აღიმაღლა ხმა ბურჟუაზიის ლაქიების, ხალხის საზიზღარი მტრების — ქართველი მენშევიკების წინააღმდეგ, იარაღით ხელში გამარჯვება მოიპოვა და სამხრეთ-ოსეთის ცენტრში ქ. სტალინირში (მაშინდელ დაბა ცხინვალში) საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

მაგრამ სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა ეს აჯანყება ცეცხლითა და მახვილით ჩააქრეს მენშევიკების გამხეცებულმა ურდოებმა.

აწიოკებული სამხრეთ-ოსეთის მშრომელები სტოვებდნენ თავიანთ საცხოვრებლებს და კავკასიის მთაგრეხილით გადადიოდნენ ჩრდილოეთში, თავს აფარებდნენ გმირულ წითელ არმიას. სამხრეთ-ოსეთის ხალხის მტკიცე ნებისყოფა როდი გასტეხა დროებითმა დამარცხებამ. მათ მომავლის იმედი არ დაუკარგავთ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ მთელი საბჭოთა ხალხი მათთან იყო.

ჯერ კიდევ ადრე ოსეთის დიდი პოეტი კოსტა ხეთაგუროვი თავის ლექსში: „მე სიკვდილისა არ მეშინია" ამბობდა:

„მე ბედნიერი არ ვყოფილვარ,
მაგრამ ჩემს პირად
თავისუფლებას,
რასაც მე ვთვლი ბედნიერებად,
ერთ ნაბიჯისთვის გავიმეტებ
მე გასაწირად
მიუახლოვდეს ოღონდ ხალხი
თავისუფლებას".

და, არა თუ მიუახლოვდა ხალხი თავისუფლებას, არამედ გმირული ბრძოლებით მოიპოვა იგი. 1921 წლის 25 თებერვალს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებითა და სახელოვანი წითელი არმიის მხარდაჭერით საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. სამუდამოდ აღიგავა პირისაგან მიწისა ხალხის დაუძინებელი მტრების — ქართველი მენშევიკების ბატონობა. ისე, როგორც მთელი საქართველოს ხალხის, სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა ბედნიერი და საამური ცხოვრება ამ დღიდან იწყება.

და დღეს, სამხრეთ-ოსეთის მშრომელი ხალხი უდიდესი სიამაყის გრძნობით გადასცქერის განვლილ სახელოვან გზას და უმაგალითო სიხარულით აჯამებს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე მოპოვებულ უდიდეს წარმატებებს.

სამხრეთ-ოსეთი, რომელიც წარმოადგენდა მეფის რუსეთის დაბეჩავებულ და უაღრესად ჩამორჩენილ კუთხეს, დღეს საბჭოთა საქართველოს ერთერთი მოწინავე ავტონომიური ოლქია. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების შედეგად, სამხრეთ-ოსეთში, სადაც არ იყო განვითარებული მრეწველობა, სტალინური ხუთწლედების პერიოდში შეიქმნა ფხვნილმარმარილოს, მაღალხარისხოვანი ტალკის, დახერხილი ხეტყის, აგურ-კრამიტისა და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები.

დიდად განვითარდა სამთამადნო მრეწველობა. ოსეთის მშრომელმა ხალხმა გული გაუხსნა მდიდარი ბუნების წიაღს და იქიდან ამოაქვს ძვირფასი სიმდიდრენი: ტყვია, თუთია, ნავთი, დარიშხანი და ა. შ.

შესანიშნავი წარმატებანია სოფლის მეურნეობის დარგშიც. სამხრეთ-ოსეთის ღატაკმა და ჩამორჩენილმა სოფელმა დიდი ხანია სახე იცვალა. საკოლმეურნეო წყობილების უხვმა მოსავალმა უსაზღვროდ ბედნიერი და საამური გახადა ოსეთის მშრომელ გლეხთა ცხოვრება.

დღითი-დღე ძლიერდება სტახანოვური მოძრაობა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის. წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობას იღებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის 35 კოლმეურნეობა და 74 მოწინავე ადამიანი.

აყვავდა და გაიფურჩქნა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურა.

ოსეთის მშრომელთა ყოველდღიური იდეური საზრდო გახდა გაზეთი, წიგნი. ოლქში გამოდის 3 საოლქო და 3 რაიონული გაზეთი. მარტო გასულ წელს სამხრეთ-ოსეთის სახელგამმა გამოსცა 162.000 ეგზემპლარი სხვადასხვა წიგნი. ოსურ ენაზე თარგმნილია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის **სტალინური** სახელმძღვანელო, **ლ. პ. ბერიას** შესანიშნავი შრომა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", XVIII პარტყრილობაზე გაკეთებული მოხსენებანი და რუს კლასიკოსთა — მ. გორკის, ტოლსტოის, პუშკინის ნაწარმოებნი. იზრდება ოს მწერალთა და პოეტთა ახალგაზრდა ნიჭიერი კადრები.

ოლქის ახლანდელი ცენტრი — ქალაქი სტალინირი ერთერთი სანიმუშო და კეთილმოწყობილი ქალაქი შეიქმნა. აქ გაყვანილია ფართო მოასფალტებული ქუჩები, გაშენდა ბაღები, კულტურისა და დასვენების პარკი. დღეს ქალაქს ამშვენებს მრავალი გიგანტური, არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული შენობა.

სამხრეთ-ოსეთის ოლქი ამჟამად დასერილია ფართო გზატკეცილებით, განხორციელდა ოსეთის მშრომელთა სანუკვარი ოცნება — გაყვანილია გორი-სტალინირის რკინიგზა, რასაც ოსეთის პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა მიაღწიეს ქართველი ხალხის საყვარელი შვილის **ლ. პ. ბერიას** მზრუნველობით და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ყოველდღიური ხელმძღვანელობით. მოწინავე ფერგანელთა გამოცდილების ფართოდ გამოყენებით ოსეთის მშრომელებმა უმაგალითო და თავდადებული შრომის ნიმუშები აჩვენეს ჩვენს ქვეყანას.

დღეს საბჭოთა ოსეთის მშრომელი ხალხი მოზღვავებული სიხარულით ზეიმობს სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 20 წლისთავს და უდიდესი აღფრთოვანებით აღნიშნავს პირველი მატარებლის შესვლას ქალაქ სტალინირში.

სამხრეთ - ოსეთის მშრომელებმა ყველა ამ წარმატებას მიაღწიეს ხალხის უბოროტეს მტრებთან შეურიგებელი ბრძოლით, სახელოვანი კომუნისტური პარტიის, პირადად ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. ბერიას** მზრუნველობითა და დახმარებით.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის მშრომელ ხალხს!

გორი-სტალინირის რკინიგზა გახსნის წინა დღეს

(სტალინირი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

გუშინ გორი-სტალინირის რკინიგზა შეამოწმა სპეციალურმა კომისიამ **ლ. პ. ბერიას** სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის საორთქმავლო დარგის უფროსის ამხ. მამაცაშვილის, სალიანდაგო დარგის უფროსის ამხ. ვარდოსანიძის, ინჟინერ ოსიპოვის და სხვათა შემადგენლობით, რომელმაც მშენებლობის ხელმძღვანელებთან ერთად გაიარა მთელი ტრასა ორთქმავალმიბმული დინამომეტრიული ვაგონით.

ვაგონის აპარატებმა ჩაიწერეს გზის მდგომარეობა. № 9627 ორთქმავალი პირველი იყო, რომელიც სტალინირში შევიდა. ის მოჰყავდა მემანქანე ზვიადაძეს საშუალოდ 20 კილომეტრი სისწრაფით, ხოლო ზოგ შემთხვევაში სისწრაფე 30 კილომეტრსაც აღწევდა.

კომისიამ სცნო, რომ გზა სავსებით დამაკმაყოფილებლად არის აშენებული და შეიძლება მოძრაობის გახსნა.

ვაგონს შინდისში შეხვდნენ საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. ცხოვრებაშვილი** და შინსახკომის საოლქო განყოფილების უფროსი ამხ. ა. ჟღენტი, რომლებმაც ის გააცილეს სტალინირამდე. გზაზე იმყოფება ამიერ-კავკასიის რკინიგზის ახალშენებული გზების ექსპლოატაციის უფროსი ამხ. ვ. ნიკოლაიშვილი, რომელიც ხელმძღვანელობს გზის საექსპლოატაციოდ მომზადების სამუშაოებს. ექსპლოატაციის დარგი მთლიანად დაკომპლექტებულია, გაყვანილია სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზები. სტალინირის სადგურის უფროსად დანიშნულია ამხ. ბ. გორგაძე.

გზაზე ივლის ორი წყვილი მატარებელი.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავრობის სახლი ქალაქ სტალინირში.

ფოტო გ. ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

გაუმარჯოს სსრ კავშირის მძლავრ სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

ბალტიკის მეზღვაურები

დასრულდა ბრძოლები. წითელდროშოვანი ბალტიკა დაუბრუნდა თავის ყოველდღიურ სწავლებას.

ფლოტის მთელი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება ემორჩილება ძირითად მოთხოვნას—გემები, ნაწილები, შენაერთები ვიყოლიოთ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში.

ლატვიასა და ესტონეთთან ურთიერთდახმარების პაქტების დადების შემდეგ, ფინეთთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ფლოტის ხომალდები შეუდგნენ ახალი რაიონების შესწავლას. ბალტიის ზღვა ნაოსნობისათვის ერთ-ერთი ყველაზე ძნელი ზღვაა. კუნძულების, მეჩეჩების, წყალქვეშა ქვების უდიდესი რაოდენობა, მეტად ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული სრუტეების ქსელი, ხშირი ნისლი და ქარიშხალი—ყველაფერი ეს ნაოსნობას ბალტიკაში ძნელს და ამავე დროს განსაკუთრებით საინტერესოს ხდის.

მოკლე ხანში ცოტა წარმატებებს როდი მივაღწიეთ. ძირითადად შევისწავლეთ ნაპირები, ახალი ბაზების მისასვლელები. ახალი თანამედროვე გემები—კრეისერი „კიროვი“, ლიდერები „მინსკი“ და „ლენინგრადი“, ნაღმოსნები, წყალქვეშა ნავები, საგუშაგო გემები, ტრალერები ყოველგვარ მეტეოროლოგიურ პირობებში მტკიცედ აწარმოებენ გადასვლებს წყლებში, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ნაკლებად შესწავლილი იყვნენ.

საბჭოთა კავშირის გმირებს ტრიპოლსკის, ვერშინინს და სხვებს არაერთხელ წაუყვანიათ თავიანთი ხომალდები და შენაერთები ქარიშხალში და ნისლში გაზაფხულის მღელვარე ბალტიკის ტალღებში.

განსაკუთრებით ბევრი სამუშაო აქვთ ამჟამად შტურმანებს. საჭიროა რუკების დაზუსტება, მათში სერიოზული შესწორებების შეტანა. ნაღმოსნის შტურმანმა ლეიტენანტმა მარტინოვმა მთელი რიგი დიდი გემები გაატარა ვიწრო, უცნობ სრუტეში, რომელიც სანაოსნოდ არ იყო მოწყობილი...

გემებზე მოვიდა ბევრი ახალგაზრდა წითელფლოტელი. მათ გულთბილად შეხვდნენ ძველი სპეციალისტები ინდივიდუალური ჩვენებით, ამხანაგური ყოველდღიური დახმარებით, მეგობრული რჩევით დაეხმარნენ ისინი ახალმოსულებს სწრაფად შეესწავლათ რთული ტექნიკა და გამხდარიყვნენ ნამდვილი სპეციალისტები. ბევრი მოსწავლე წითელფლოტელი ახლა უკვე დამოუკიდებლად ეწევა ვახტს მათთვის ჩაბარებულ მექანიზმებთან და აპარატებთან.

დღისით და ღამით გემები აწარმოებენ ლაშქრობას, სწავლებას. ერთეულებად, ჯგუფებად, დიდ შენაერთებად დადიან ისინი ბალტიის ზღვაში, განუწყვეტლივ ამაღლებენ თავიანთ საბრძოლო მომზადებას. წარმატებით ჩატარდა საარტილერიო და სხვა სროლა.

წლითიწლობით იზრდება, უმჯობესდება საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტექნიკა. სხვადასხვა რანგისა და სპეციალობის მეთაურები, წითელფლოტელები გულმოდგინედ სწავლობენ მათთვის ახალ მექანიზმებს, ამაღლებენ თავიანთ ცოდნას. 1-ლი რანგის სამხედრო ტექნიკოსი, წყალქვეშა ფლოტელი მენშოვი იმდენად კარგად იცნობს მისთვის მინდობილ ტექნიკას, რომ მოკლე ვადაში შესძლო შეესრულებინა გემზე სამუშაო, რომელიც ქარხნის ინჟინრებმა განსაკუთრებით რთულ და შრომატევადად სცნეს. მე-3 რანგის სამხედრო ინჟინერმა ორდენოსანმა დერგაჩოვმა, მე-3 რანგის სამხედრო ინჟინერმა ბიხნევიჩმა საუკეთესოდ შეისწავლეს გემის რთული აგრეგატები. ახალგაზრდა ლეიტენანტი შუნიაევი გემზე მოვიდა მმართველობის ჯგუფის მეთაურად. სერიოზული შუნიაევი გაძლიერებით მუშაობს თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. იგი მომთხოვნი მეთაურია და მას, თავის ხელმძღვანელთა აზრით, უკვე წარმატებით შეუძლია უმეთაუროს გემის საბრძოლო ნაწილს—მის რთულ საარტილერიო შეიარაღებას.

გულმოდგინე მუშაობის, სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის, სწრაფი ზრდის, თავისი სპეციალობის ღრმად დაუფლების მრავალი ასეთი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ.

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტი, რომელიც წინათ შეზღუდული იყო ფინეთის ყურის ვიწრო ჩარჩოებით, პარტიისა და მთავრობის ბრძნული პოლიტიკის შედეგად გავიდა ბალტიის ზღვის ფართო სივრცეებში. ფხიზლად არის დაცული ჩვენი სამშობლოს საზღვაო საზღვრები, მზად არიან მისი სახელოვანი დამცველები—წითელი ბალტიელები.

კონტრ-ადმირალი

ი. ა. პანტელეევი

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის შტაბის უფროსი.

ლენინგრადის თავდაცვა-ავიაქიმის სკოლის პოლიტხელი ი. გ. იპატოვი ატარებს პოლიტინფორმაციას სასწავლო გემ „კომსომოლზე“. საკდესის ფოტოქრონიკა.

ვაშენებთ მძლავრ საზღვაო და საოკეანო ფლოტს

ი. ნოსენკო

სსრ კავშირის გემთსაშენი მრეწველობის სახალხო კომისარი

სსრ კავშირის გემთსაშენი მრეწველობა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს ატარებს, როგორც თავისი მუშაობის დათვალიერებას, როგორც საბჭოების ქვეყნის დიდი საზღვაო და საოკეანო ფლოტისათვის გემების მშენებლობის დარგში უმნიშვნელოვანესი და საპატიო დავალებათა შესრულების შემოწმებას.

რუსეთის ფლოტის მიერ 1904—1905 წლების ომში განცდილმა ზარალმა რუსეთი მისი ფლოტის სიძლიერის მხრივ მეექვსე ადგილზე ჩამოიყვანა, ხოლო 1914-18 წლების ომისათვის მას უკვე მეშვიდე ადგილი ეჭირა. გემთმშენებლობის ჩამორჩენილობამ მძიმე გავლენა მოახდინა რუსეთის საზღვაო ძლიერებაზე.

სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის შემდეგ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა შეუდგა მრეწველობის აღდგენას. ცოტა შრომა როდი იქნა გაწეული გემთსაშენი ქარხნების აღსადგენად. აღდგენითი პერიოდის წლებში, პირველი ხუთწლედის წლებში გემთსაშენმა ქარხნებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების მოდერნიზაციისათვის, აგრეთვე საზღვაო და სამდინარო კომერციული ხომალდების მშენებლობისათვის.

მეორე ხუთწლედის დასაწყისში საბჭოთა ქვეყნის წინაშე წამოიჭრა ამოცანა მძლავრი წყალქვეშა ფლოტის შექმნისა ყველა იმ ზღვისათვის, რომლებიც ეკვრის საბჭოთა კავშირის ნაპირებს. მეფის რუსეთს არ ჰყოლია ძლიერი წყალქვეშა ფლოტი. პირველი იმპერიალისტური ომის დასაწყისისათვის მწყობრში ითვლებოდა მხოლოდ 28 წყალქვეშა ნავი, მათ შორის 24 მოძველებული ტიპისა. ომის განმავლობაში მეფის მთავრობამ ააშენა კიდევ 29 წყალქვეშა ნავი. გერმანიამ კი ამ პერიოდში მოასწრო 345 წყალქვეშა ნავის აგება.

საბჭოთა ხელისუფლებამ მეფის მთავრობისაგან მიიღო სრულიად უმნიშვნელო წყალქვეშა ფლოტი, ხოლო გემთსაშენ მრეწველობას არ ჰქონდა საჭირო გამოცდილება წყალქვეშა ხომალდების მშენებლობაში. მიუხედავად ამისა, საბჭოთა გემთსაშენმა ქარხნებმა მეორე ხუთწლედის წლების განმავლობაში ააშენეს ისეთი წყალქვეშა ფლოტი, რომელიც თავისი ოდენობით და ხარისხით არა თუ არ ჩამოუვარდება, არამედ აღემატება კიდეც უდიდესი საზღვაო სახელმწიფოების წყალქვეშა ფლოტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1-ლ სესიაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა მოლოტოვმა განაცხადა: „ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა დიდია, რომ მას აკრავს ზღვები მეტად დიდ მანძილზე, და ეს მუდამ მოგვაგონებს იმას, რომ ჩვენ უნდა გვყავდეს მტკიცე, ძლიერი ფლოტი. ამასვე მოგვაგონებენ კაპიტალისტური სახელმწიფოები იმით, რომ უკანასკნელ წლებში მათ უზარმაზარი სამხედრო-საზღვაო მშენებლობა გაშალეს.

...მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს მისი ინტერესების შესაფერი, ჩვენი დიადი საქმის შესაფერი საზღვაო და საოკეანო ფლოტი“.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა უდიდეს ყურადღებას უთმობენ მძლავრი საზღვაო და საოკეანო ფლოტის შექმნას. ამხანაგი **სტალინი** პირადად მუშაობს ფლოტის მშენებლობის საკითხებზე.

მესამე ხუთწლედის დასაწყისიდან სსრ კავშირის გემთსაშენი მრეწველობა შეუდგა დიდი ფლოტის მშენებლობის პროგრამის განხორციელებას.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის გემთსაშენი მრეწველობა იბრძვის იმისათვის, რომ 1942-43 წლისათვის გამოვიდეს მსოფლიოში ერთერთ მოწინავე ადგილზე ტონაჟისა და ყოველწლიურად აშენებული გემების რიცხვის მხრივ.

თანამედროვე საბრძოლო გემი—ეს არის ერთერთი ყველაზე რთული საინჟინერო ნაგებობა. როგორც სარკეში, მასში ასახულია ტექნიკისა და კულტურის დონე. სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად კრემლში გამართულ მიღებაზე 1939 წლის 27 ივლისს ამხანაგი ჟდანოვი ამბობდა:

„საბჭოთა გემთმშენებლობა—ეს არის ჩვენი ინდუსტრიის დღევანდელი დღე, ჩვენ უკვე მივეჩვიეთ მისი წარმატებების გაზომვას მრეწველობის ისეთი მოწინავე დარგებით, როგორიც არის ჩვენი საბჭოთა გემთმშენებლობა“.

თანამედროვე საბრძოლო გემების მშენებლობა შესაძლებელია მხოლოდ დიდად განვითარებული ინდუსტრიის ბაზაზე. სტალინური ხუთწლედების გამარჯვებათა შედეგად ჩვენს ქვეყანას აქვს თავისი შავი და ფერადი მეტალურგია, თავისი მანქანათმშენებლობა, თავისი ელექტროტექნიკა, შეიარაღების საგნების თავისი მრეწველობა და მრეწველობის მრავალი სხვა დარგი, რომლებიც მონაწილეობენ ხომალდების აგებაში. მხოლოდ ყოველმხრივ განვითარებული მრეწველობის ბაზაზე შეიძლებოდა დასახულიყო დიდი თანამედროვე წყალქვეშა ხომალდების მშენებლობის ამოცანა. ასეთი ხომალდების მშენებლობა შესაძლებელია მრეწველობის მრავალ სხვა დარგებთან გემთსაშენი ქარხნების ფართო კოოპერირების გზით.

დიდი გემების მშენებლობაში ინგლისში მონაწილეობას იღებდა 400-მდე ქარხანა. სსრ კავშირში არ არის მრეწველობის თითქმის არცერთი დარგი, რომელიც მონაწილეობას არ იღებდეს დიდი ფლოტის მშენებლობაში.

წლითიწლობით იზრდება საბჭოთა გემთსაშენი მრეწველობა, დიდდება მისი წარმოების მოცულობა.

საბჭოთა გემთმშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ხომალდების მშენებლობის ვადების შემცირება. ამ ამოცანის გადაჭრა შეიძლება გემთსაშენი სამუშაოების ტექნოლოგიისა და მექანიზაციის უახლესი მეთოდების გაბედული დანერგვით.

გემთსაშენი მრეწველობის ზრდის ერთერთ ძირითად მაჩვენებელს უკანასკნელ წლებში წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდება. 1939 წელს, 1938 წელთან შედარებით, თვითეული მუშის საშუალო გამომუშავება გაიზარდა 33,7 პროცენტით, ხოლო 1940 წლის პირველ ნახევარში გასული წლის მიმართ—27,3 პროცენტით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას 8-საათიან სამუშაო დღეზე და 7 დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშებისა და მოსამსახურეების თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ გემთსაშენი მრეწველობის მუშაკები დიდი მოწონებით შეხვდნენ. ახალი კანონი უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნის დიდი საზღვაო და საოკეანო ფლოტის მშენებლობას.

ჩვენ მტკიცედ ვკიდებთ ხელს წლის მეორე ნახევრის უფრო დაძაბული პროგრამის შესრულებას.

საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით აშენებს და ააშენებს მტრების თავზარდასაცემად ჩვენი სამშობლოს მძლავრ საზღვაო და საოკეანო ფლოტს.

წითელდროშოვანი „შჩ-324“-ის გმირები

წყალქვეშა ნავი ნავსადგურში შედიოდა. ნაშუადღევის მზე უკანასკნელ სხივებს ესროდა ბრჭყვიალა ყინულის გორებს, ყინულის ქერქით დაფარულ ხომალდს.

კიბეზე იდგნენ მეთაურები. მღელვარებით, აღფრთოვანებით, როგორსაც იშვიათად თუ განიცდი, ისინი იხედებოდნენ ირგვლივ. აი ის, მშობლიური მიწა, რომლის გულისთვის ისინი მიდიოდნენ ბრძოლაში, მოახდინეს ეს მძიმე ლაშქრობა, რომელიც უკვე უკან დარჩა. მიწა, საბჭოთა ნავსადგური!...

მეგობრული, გულთბილი შეხვედრის პირველმა წუთებმა სწრაფად განვლო. წყალქვეშა ნავის „შჩ—324“-ის მეთაურები მარტო დარჩნენ ორ ცალკე პატარა ოთახში.

აქ იყო მესამე რანგის კაპიტანი ანატოლ კონიაევი, ახალგაზრდა, მაღალი, ნათელი ცისფერი თვალებით და სახის ნაზი გამომეტყველებით. მუშამ, შემდეგ პედაგოგმა წარსულში, მან თავისი სიცოცხლე დაუკავშირა ფლოტს და ექვსი წლის განმავლობაში განვლო სახელოვანი გზა წითელფლოტელიდან წყალქვეშა ხომალდის უფროსამდე.

გვერდით იჯდა უფროსი პოლიტხელი ნიკოლოზ იურინიხი, მხარბეჭ გაშლილი ციმბირელი. 14 წლის განმავლობაში სცურავდა იგი წყალქვეშა ხომალდებზე. იყო ბოცმანი, გახდა პოლიტიკური ხელმძღვანელი.

უფროსი ლეიტენანტი გიორგი თარხნიშვილი აჩქარებით დადიოდა ოთახში, მოუთმენელმა, მოძრავმა, მან სწავლის წლებში გამოიჩინა იშვიათი ბეჯითობა და ფრუნზეს სახელობის სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა.

ამ მეგობრული ოჯახის სამმა ყველაზე უფრო ახალგაზრდამ — შტურმანმა ვასილ შუმაკოვმა, მენაღმე ნიკოლოზ პოკროვსკიმ და მექანიკოსმა ბორის რისინმა მძიმე საბრძოლო გამოცდების დღეებში თავი გამოიჩინეს როგორც გამოცდილმა, ნებისყოფის მქონე მეთაურებმა.

...ანატოლ კონიაევი მივიდა გახურებულ ღუმელთან.

— გაითბუთ, თარხნიშვილო, — იხუმრა მან. აქ, მე მგონია, უფრო თბილა, ვიდრე „ოტსეკებში“.

ყველამ გაიღიმა. მოაგონდათ სიცივე, მათი ლაშქრობის განუყრელი თანამგზავრი, მთელი კვირეები, რომლებიც მათ გაატარეს მოუსვენებლად, მძიმე ბეწვიან ტანსაცმელში, რომელსაც არ იძრობდნენ არც დღე, არც ღამე...

* * *

ახალ 1940 წელს წყალქვეშა ნავის „შჩ—324“-ის ეკიპაჟი ზღვაში შეხვდა. ღელვა მძვინვარებდა. ფოლადის ქიმებს განუწყვეტლივ სცემდნენ მსხვილი ყინულები, ყინვა იტაცებდა შადრევნების წინწკლებს და გემბანზე შლიდა თეთრ საგებად.

ხომალდის ჟურნალმა შეინახა ძუნწი ჩანაწერები, ისეთ საქმეებზე, რომლებიც ისმის, როგორც გმირული პოემა.

— მივდივართ მტრის ქვეყნის ნაპირების გასწვრივ, ხილვადობის მანძილზე.

სწრაფად განვვლეთ მტრის დანაღმული ზოლი.

— გვერდი ავუხვიეთ ნავისაკენ გამოშვებულ ნაღმებს.

— ორი დღეღამე მივდივართ ვარაუდით, ქარბუქში ვერ ვხედავთ ორიენტირებს.

...ქარიშხალი ძლიერდებოდა და მალე საშინელ ძალას მიაღწია, 11-12 ბალს! კონიაევმა უკანასკნელად გაჰხედა ჰორიზონტს და ბრძანება გასცა ჩაშვებულიყვნენ.

სიღრმეზომმა 25 მეტრი აჩვენა.

სიმშვიდე არც აქ იყო. მღელვარე ზღვამ შეაგდო ნავი და გრუნტს დააჯახა. ადგილი გამოვიცვალეთ. მხოლოდ ორჯერ უფრო მეტ სიღრმეში შედარებითი სიმშვიდე იყო.

წყალქვეშ დღეღამე დავყავით და გადავწყვიტეთ ამოცურვა.

ზევით კვლავ ქარიშხალი მძვინვარებდა. ნავი ირგვლივ გაიყინა. ყინულის ქერქით დაიფარა წყალქვეშელთა ბეწვიანი ხალათები. უფროსთან მივიდა მესაჭეთა ჯგუფის უფროსი ნაზაროვი.

— გაფუჭდა კიჩოს ჰორიზონტალური საჭეები, — მოახსენა მან და იქვე შეუდგა დაზიანებულის გასწორებას.

ყინულიან წყალში ტალღებთან ბრძოლით მან დანაყოფის უფროსს მინოფიევთან ერთად გამოსცვალა გამოუსადეგარი დეტალი.

როდესაც ნავი ამოსცურდა, გემბანზე სწრაფად აჲიდა დანაყოფის მეთაური კოვალი. არ გაუშვათ მომენტი! - შეამოწმეთ მექანიზმები, წაუსვით ახალი ფენა საცხები სანამ ისინი გაიყინებოდეს. არაფერია ყინვა რომ სწვავს. მთავარია ქვემეხთა ბრძოლის უნარის უზრუნველყოფა.

...დილით მოვადექით იმ უბანს, რომელიც მოფენილი იყო კუნძულების ქსელით. კონიაევმა, რომელიც მთელი საათობით არ მორდებოდა პერისკოპს, ჰორიზონტზე კვამლი შეამჩნია. რაიონი შეტევისათვის მოუხერხებელია, თავისი მეჩხერი ადგილებით. მაგრამ უფროსმა გადასწყვიტა მიახლოება.

„ოტსეკებში“ გაისმა საბრძოლო განგაში. ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. რაზმი მოიცვა აგზნებამ, რომელიც ჩვეულებრივი მოვლენაა ბრძოლის წინ. ათეულ ადამიანთა ნება-სურვილი და ძალა გაერთიანდა უფროსის გადაწყვეტილებაში, — წყალქვეშა ნაღმების ბათქში...

მანძილი მცირდებოდა. უკვე ნათლად სჩანდა კოლონა—მტრის სამი ტრანსპორტი ორი სამხედრო ხომალდის ბადრაგობით.

— ნაღმი ესროლეთ კოლონაში მეორე ტრანსპორტს, შემდეგი ბათქი დაუშინეთ უკან მომავალ გემს!

ფოლადის სიგარა-ნაღმები გაქანდნენ მტრის ხომალდთა ქიმებისაკენ. გაისმა აფეთქების გრიალი.

ტალღამ აისროლა წყალქვეშა ნავი, ერთი წამით წყლიდან პერისკოპი გამოჩნდა. ეს საკმაო იყო. გააფთრებული სისწრაფით ახლოვდებოდა მტრის კატარღა.

— აავსეთ მთავარი ბალასტის ცისტერნები! —

გაისმა მშვიდი ბრძანება, თითქო სწავლების დროს.

სიღრმეზომმა 18 მეტრი აჩვენა, როდესაც კიჩოს ზემოთ გაისმა აფეთქების ხმა. „ოტსეკიდან“ ცენტრალურ პოსტს აცნობეს:

— ყუმბარები სკდება.

უფროსმა შესცვალა მიმართულება, შემდეგ კი გააჩერა მანქანები. მათ ხმაურს შეეძლო გამოემჟღავნებია წყალქვეშა ნავის სამყოფი ადგილი.

50 მეტრის სიღრმეზე დიდხანს იწვნენ. ნიკოლოზ იურინიხს არც ამ შემთხვევაში ულალატნია თავის თავისათვის: იგი დადიოდა „ოტსეკებში“, იძლეოდა მდგომარეობის ახსნა-განმარტებას, ხუმრობდა. პოლიტხელის ბრგე აგებულობა და ფართოდ მოღიმარი სახე ირგვლივ სიმშვიდეს ავრცელებდა.

...დამთავრდა ყინულოვანი ვახტა. „შჩ—324“-მ აიღო მიმართულება მშობლიური ნაპირებისაკენ. კვლავ ყინულოვანი ნაპირები, სრუტეები, სადაც მათ უდარაჯებდა მტერი, ნაღმების ღობური. სამშობლო აღფრთოვანებით შეხვდა თავის მამაც შვილებს. ბალტიელებმა და მთელმა ჩვენმა ქვეყანამ სიამაყით გაიგეს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წყალქვეშა ნავი „შჩ—324“ დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით. ანატოლ კონიაევს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება, ორდენებით დააჯილდოეს ნიკოლოზ იურინიხი, გიორგი თარხნიშვილი და ამ გმირული წყალქვეშა ხომალდის ბევრი სხვა მეთაური და მებრძოლი.

ზ. სამოილოვი

ძერჟინსკის სახ. უმაღლესი სამხედრო-საზღვაო საინჟინრო სასწავლებლის კომკავშირელი კურსანტების ჯგუფი, რომელმაც სრულიად - საკავშირო სას.-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს სსრ პავილიონის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩასწერა: „გაოცებული ვართ გამოფენის ექსპონატების სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. გაიფურჩქნე, ბუნებაუხვო მზიურო საქართველოვ, საბჭოთა ხალხის საბედნიეროდ და სასიხარულოდ!“

ფოტო ვ. ივანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ორდენოსანი მწერალი ვ. ვიშნევსკი (მარჯვნივ) ნაღმოსან მინსკზე.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ადმირალი ი. ისაკოვი

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის მოადგილე

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტი

მხოლოდ ერთი წელი გავიდა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის დაწესების მომენტიდან, მაგრამ ფლოტის ცხოვრებაში ამ წლის განმავლობაში ბევრი არსებითი ცვლილება მოხდა.

საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შეივსო ყველა კლასის ახალი საბრძოლო გემებით, კრეისერების ჩათვლით. მნიშვნელოვნად წაიწია წინ დიდი გემების მშენებლობამ. მთავრდება წყალზედა და წყალქვეშა გემების რამდენიმე სერიის მშენებლობა. სტაპელებზე დაწყებულია ახალი საბრძოლო ერთეულების მშენებლობა.

გემთსაშენებთან პარალელურად დაძაბულად მუშაობენ საზღვაო შეიარაღების, საომარი მასალების და ყველა სახის მომარაგების ქარხნები. ამგვარად, დიდი საზღვაო და საოკეანო ფლოტის მშენებლობის პროგრამა მოქმედებაშია და წარმატებით, მტკიცედ, გულმოდგინედ და თანმიმდევრობით ხორციელდება, როგორც ჩვენი დიადი სოციალისტური მშენებლობის ერთერთი შემადგენელი ნაწილი. აი რატომ არის, რომ ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო შემადგენლობა დღითიდღე იზრდება რიცხობრივად და ხარისხობრივად.

ამასთან ერთად იზრდება და ეწყობა ფლოტის ახალი პირველხარისხოვანი ბაზები, ფართოვდება ძველი ნავსადგურები და ბაზები, ისეთები, როგორიცაა კრონშტადტი, სევასტოპოლი, ვლადივოსტოკი და სხვები, ე. ი. ბაზები, რომლებსაც აქვთ თავიანთი სახელოვანი საბრძოლო და რევოლუციური ისტორია. გეგმაზომიერად სწარმოებს სანაპირო თავდაცვის განმტკიცება, იზრდება და ხელახლა იარაღდება საზღვაო ავიაცია.

წითელფლოტელებისათვის სამსახურის ხუთწლიანი ვადის შემოღების, ვადაზე ზევით სამსახურში ნებაყოფლობით დარჩენილთა დიდი რაოდენობის მეოხებით, აგრეთვე უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებიდან და საზღვაო აკადემიიდან მეთაურთა ახალი გამოშვების მეოხებით ჩვენი ფლოტის კადრები უკანასკნელი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდნენ რიცხობრივად და განსაკუთრებით ხარისხობრივად.

განვლილი წელი განსაკუთრებით ძვირფასი იყო იმით, რომ ჩვენმა ფლოტმა გაიარა **საბრძოლო შემოწმება.**

ფლოტის სამხედრო საქმიანობა—აი რა არის საუკეთესო გამოცდა, ფაქტიური შემოწმება არა მარტო ტექნიკასა და შეიარაღებისა, არამედ მეთაურთა, პოლიტმუშაკთა და მებრძოლთა ორგანიზაციისა, საბრძოლო მომზადებისა, პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობისა, დისციპლინისა, სიმტკიცისა და ამტანობისა, ხოლო გარდა ამისა ოპერატიული და ტაქტიკური ხელმძღვანელობის მთელი სისტემისაც. თეთრფინელებთან ომის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჩვენმა წყალზედა გემებმა, წყალქვეშა ნავებმა, საზღვაო ავიაციამ და მათთან მომქმედმა ყველა ძალებმა და საშუალებებმა ფლოტის შემადგენლობიდან ასეთი გამოცდა ჩააბარეს.

ამავე დროს ფლოტის საომარი საქმიანობა იყო არა მარტო შემოწმება, არამედ საუცხოო პრაქტიკული სწავლება, რომელიც მიმდინარეობდა მეტად დაძაბულ და რთულ სანაოსნო და მეტეოროლოგიურ პირობებში.

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტისა და ჩრდილოეთის ფლოტის განზოგადებულმა და პრაქტიკულად ათვისებულმა გამოცდილებამ შესაძლებლობა მოგვცა შეგვეტანა მთელი რიგი დამატებანი ტაქტიკურ ხერხებში, მმართველობის სისტემაში, ყველა ჩვენი ფლოტის ტექნიკასა და ორგანიზაციაში. ეს მუშაობა, ჩრდილოეთისა და ხმელთაშუა ზღვებში მომქმედი უცხოური ფლოტების საზღვაო ოპერაციების მასალების კრიტიკულ შესწავლასა და გამოყენებასთან ერთად, შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენი ფლოტის საბრძოლო მომზადება დაყენებული გვქონდეს **თანამედროვე მოთხოვნების დონეზე,** რათა წარმატებით შევასრულოთ ის ამოცანები, რომლებიც ჩვენს მეზღვაურებს შეიძლება დაუსახონ საბჭოთა მთავრობამ და პარტიამ.

საბჭოთა ხალხი ყურადღებით ადევნებს თვალს ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცხოვრებას. იგი თავის საუკეთესო ძალებს და უდიდეს საშუალებებს აძლევს სოციალისტური სახელმწიფოს სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ძლიერების ზრდისა და განვითარებისათვის. საკმარისია გავიხსენოთ 1940 წლის ბიუჯეტით თავდაცვისათვის გათვალისწინებული ციფრი — 57.066,2 მილიონი მანეთი, რომ დავინახოთ ხალხის, საბჭოთა მთავრობისა და პარტიის მტკიცე გადაწყვეტილება შესრულებულ იქნას ამოცანა, რომელიც დიდმა **სტალინმა** პარტიის XVIII ყრილობაზე დაგვისახა: **„ყოველმხრივ განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო წითელი ფლოტის საბრძოლო ძლიერება“.**

საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან ხალხს უყვარს თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ამაყობს მისი გამარჯვებებით, უხარია მისი წარმატებანი სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებაში. მსოფლიოში არ არის სხვა ისეთი ფლოტი, რომელიც ასე მახლობელი იყოს თავისი ხალხისათვის. წითელ არმიასთან და სამხედრო-საზღვაო ფლოტთან ხალხის ეს განუყრელი კავშირი შეიქმნა ოქტომბრის დიდი რევოლუციის მგზნებარე დღეებში, შინაურ თეთრგვარდიელებთან, ინგლის-საფრანგეთის და იაპონია-ამერიკის ინტერვენტებთან საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლის გმირულ წლებში. თავისი შეიარაღებული ძალებისადმი ხალხის სიყვარული ორგანიულად ახასიათებს ჩვენს სოციალისტურ წყობილებას, რომელშიც არ არის კლასთა ანტაგონისტური ბრძოლა და ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს მთელი ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობა.

აი რატომ არის, რომ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე მტკიცედ შევიდა საბჭოთა კალენდარში როგორც ჩვენი სამშობლოს მშრომელთა **საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.**

სამხედრო მეზღვაურთა მთელი კოლექტივი და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელები პასუხისმგებელი არიან იმისათვის, რომ მთელი ახალგაზრდობა, რომელიც სასამსახუროდ მოდის სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემებზე და ნაწილებში, აღზრდილი იქნება მტკიცე ბოლშევიკებად, საუკეთესო მეზღვაურებად, ლენინ - სტალინის პარტიის უსაზღვროდ ერთგულ, გაბედულ, ამტან, დისციპლინიან მებრძოლებად, თავიანთი სამშობლოს თავდადებულ პატრიოტებად, რომლებიც მზად იქნებიან შეასრულონ ყოველგვარი საბრძოლო ამოცანები და საჭიროების შემთხვევაში გმირულად დასდონ თავი სამშობლოსათვის.

ჩვენ პასუხისმგებელი ვართ იმისათვის, რომ კარგად აღზრდილ და განსწავლულ მეზღვაურებს და თანამედროვე საბრძოლო ტექნიკას, შეერთებულად მომზადებულებს, მიზანმსწრაფი მტკიცე ხელი გაჰზავნის ბრძოლაში ან ოპერაციის შესასრულებლად ნათელი გეგმით, რომელიც გასაგები იქნება ყოველი შემსრულებლისათვის, ზუსტად იქნება შედგენილი დროის, ადგილის, ძალთა შემადგენლობის გათვალისწინებით.

ადამიანებისა და თანამედროვე ფლოტის ტექნიკის მომზადება, აგრეთვე ბრძოლაში ამ ფლოტის მართვის შესწავლა მეტად საპატიო, მაგრამ ამავე დროს მეტად რთული და ძნელი ამოცანაა.

მხოლოდ მტკიცე, მეთოდური, ყოველდღიური მუშაობა და სწავლა გარკვეული თანმიმდევრობით— ერთეული მებრძოლიდან მთელი გემის ეკიპაჟამდე და ერთეული გემიდან შენაერთსა და ესკადრამდე,— სარდლობის სხვადასხვა სპეციალობისა და რანგებისათვის დიფერენცირებული მუშაობა და სწავლა, შტაბების და უზრუნველყოფისა და ზურგის ორგანოების ჩათვლით, — აი რა იძლევა ბრძოლისუნარიან გემს, ესკადრას, ფლოტს.

ფლოტის ტაქტიკური ხერხების სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების და საზღვაო ოპერაციების მრავალფეროვნება თანამედროვე ომში რთულდება იმით, რომ არცერთი დიდი ამოცანა მთლიანად არ სრულდება რომელიმე **ერთი სახის** იარაღით. თანამედროვე ოპერაციის საფუძველს წარმოადგენს წყალზედა გემების, წყალქვეშა ნავების, ყველა სახის ავიაციის, ხოლო ძალიან ხშირად აგრეთვე სახმელეთო ძალების მიზანმიმსწრაფი **ურთიერთმოქმედება.**

აი რატომ არის, რომ რაც არ უნდა მნიშვნელოვანად გვეჩვენებოდეს წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიღწევები მშენებლობაში, საბრძოლო მომზადებაში, საბრძოლო მზადყოფნისა და უზრუნველყოფის მხრივ, ჩვენ მტკიცედ უნდა ვიმუშაოთ სწავლის, ორგანიზაციისა და მმართველობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მხოლოდ გულმოდგინე ყოველდღიური შრომით და დაძაბული აღმზრდელობითი მუშაობით, მიღწევების კრიტიკულ შეფასებასთან ერთად — და სწორედ ასეთ მუშაობას გვასწავლის პარტია — ჩვენ შევძლებთ ყოველთვის ვიყოთ თანამედროვე მოთხოვნათა სიმაღლეზე, განსაკუთრებით ისეთი რთული საერთაშორისო ვითარების პირობებში, როგორიც ახლა მთელ მსოფლიოშია.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტს აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ იდგეს ამოცანათა სიმაღლეზე: პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა, მთელი ხალხის სიყვარული, დაკისრებულ მოთხოვნათა ნათელი გაგება, თითქმის განუსაზღვრელი მატერიალური ბაზა და საუცხოო პირადი შემადგენლობა.

ფლოტის მშენებლობის 22 წელმა მოგვცა არა მარტო ორგანიზაციული ჩვევები, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიღწევები, — ამ წლებმა შექმნეს ჩვენი ფლოტის რევოლუციური ტრადიციების მემკვიდრეობითობა. ამ ტრადიციების ცოცხალი მატარებლები არიან ახალგაზრდა საბჭოთა ადმირალები — ფლოტის მძღოლები და საბჭოთა კავშირის გმირები — გემებისა და ავიანაწილების მეთაურები.

ჩვენ გვყავს მრავალი ახალგაზრდა მეთაური, პოლიტმუშაკი და წითელფლოტელი, რომლებსაც სწყურიათ ამ ტრადიციების გაღრმავება და გმირობის კიდევ უფრო იშვიათი ნიმუშების ჩვენება.

ჩვენ გვყავს ძველ მეთაურ მეზღვაურთა საუცხოო კადრები, რომლებსაც აქვთ პირველი იმპერიალისტური ომის გამოცდილება და რომლებიც მუშაობენ მეთაურთა ახალგაზრდა კადრების სწავლების დარგში და ფლოტის სამეცნიერო ორგანოებში.

ჩვენ გვყავს ბოლშევიკური პარტია, ჩვენ გვყავს მშრომელთა დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი **სტალინი**, რომელიც მუდამდღე თვალს ადევნებს წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცხოვრებას და საქმიანობას, ეხმარება მას გახდეს ყველაზე ძლიერი და მძლავრი ფლოტი მთელ მსოფლიოში.

რვასაათიან სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ცნობილ ბრძანებულებას მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალე მოწონებით შეხვდა. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, რომელიც აღსავსეა სურვილით კიდევ უფრო მეტად განამტკიცოს სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითი და სამეურნეო ძლიერება, იკისრა ერთგვარი მსხვერპლი, რომ წითელმა არმიამ მიიღოს უფრო მეტი ზარბაზნები, ჭურვები, თვითმფრინავები, ტანკები და სხვ., რომ ჩვენმა წითელმა სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მიიღოს კიდევ უფრო მეტი წყალზედა და წყალქვეშა გემები, ჰიდროთვითმფრინავები, ზარბაზნები, ჭურვები და სხვა სახის შეიარაღება. მუშათა კლასის ეს შესანიშნავი პატრიოტული აქტი ჩვენ, სოციალიზმის ქვეყნის მეომრებს, უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

გასული წლის გამოცდილების გამოყენებით საბჭოთა მეზღვაურებმა უფრო მეტად უნდა განამტკიცონ და გააუმჯობესონ ჩვენი სამხედრო-საზღვაო ძალები, რომ შესძლონ ღირსეულად შეასრულონ თავიანთი წმინდა მოვალეობა ჩვენი საყვარელი დედა-სამშობლოს წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 20 წლისთავი

სალამი სამხრეთ-ოსეთის მშრომელ ხალხს!



სამხრეთ-ოსეთში 1920 წელს მენშევიკების წინააღმდეგ მოწყობილი მშრომელთა აჯანყების მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ): **პირველი რიგი**—ს. მ. თედეევი, ს. ნ. კაბისოვი, ვ. პ. პეტრიაშვილი, ტ. პ. გაგლოევი. **მეორე რიგი**—ბ. ნ. სანაკოევი, გ. რ. ვანეევი, ს. მ. ბითიევი, დ. ი. მულდაროვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჩვენ ვიცოდით, რომ მარტო არ ვიყავით

(მოგონება)

1918 წლის შემოდგომაზე, როდესაც ჯარიდან დავბრუნდი, სამხრეთ-ოსეთში გაჩაღებული იყო რევოლუციური მუშაობა, საიდუმლოდ ვრცელდებოდა ბოლშევიკური პროკლამაციები, პარტიზანები ოსეთის მშრომელთა შორის ეწეოდნენ აგიტაციას, ამხედრებდნენ მათ ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების — ქართველი მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც აწიოკებდნენ ოსეთის მშრომელ გლეხობას. ჯარიდან დაბრუნებისთანავე დავუახლოვდი დაბა ცხინვალში არალეგალურად მომუშავე კომუნისტ ამხანაგებს და ჩავები მუშაობაში. წუნარში, გუჯარეთში (ბორჯომის რაიონი) და სხვა სოფლებში ვავრცელებდი ბოლშევიკურ პროკლამაციებს.

1918 წლის 19 მარტს ჯავის, სოფ. ყორნისის, დირბის, წუნარისა და ვანათის გლეხებისაგან შემდგარი პარტიზანული რაზმებით შევებრძოლეთ მენშევიკებს დაბა ცხინვალში. განვაიარაღეთ „სახალხო" გვარდიის ნაწილი და დავიკავეთ ცხინვალი. ამ ბრძოლის დროს მოკლულ იქნა „სახალხო" გვარდიის მეთაური კაზაშვილი და გორის მაზრის მაშინდელი მენშევიკი მესვეური — გიორგი მჩაბელი. ცხინვალში შეიქმნა პარტიზანული შტაბი.

მენშევიკებმა უფრო გააძლიერეს ჩვენს წინააღმდეგ შემოტევა. პარტიზანების მიმართ შემოიღეს მძიმე რეპრესიული ზომები. თბილისიდან და გორიდან გამოითხოვეს „სახალხო" გვარდიელთა ასეულები, რის გამო იძულებული შევიქენით კვლავ გადავსულიყავით არალეგალურ მუშაობაზე. ჩვენ ვიცოდით, რომ მარტო არ ვიყავით, რომ ჩვენთან იყო მთელი მშრომელი ხალხი, სახელოვანი წითელი არმია. სწორედ ამიტომ 1919 წლის მარტში გადავედით კავკავში.

ჩვენი პარტიზანული რაზმები შეუერთეს წითელი არმიის მე-13 დივიზიას. ამ დივიზიაში შეიქმნა სამხრეთ-ოსეთის პოლკი. მოგვცეს შესაფერი იარაღი და გვასწავლიდნენ სამხედრო საქმეს 1920 წლის მაისამდე. მაისში ჩვენი პოლკი გამოვიდა სამხრეთ-ოსეთში. პირველი შეტაკება მენშევიკებთან მოგვიხდა ჯავაში. ჯავა ავიღეთ და 200-ზე მეტი კაცი ტყვედ წავიყვანეთ.

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ გადმოვდივართ და იერიში მივაქვს ცხინვალზე. 1920 წლის 8 ივნისს განვაიარაღეთ „სახალხო" გვარდია, დავიკავეთ ცხინვალი და წითელი დროშა ავაფრიალეთ დაბა ცხინვალის ცენტრში იმ შენობის თავზე, რომელშიც ამჟამად პარტკაბინეტია მოთავსებული (ლენინის ქუჩა). გავამაგრეთ ცხინვალის გარშემო სოფლები: ვანათი, პერდვი, ქვემო ნიქოზი, დირბი და სხვ.

ამ ამბით გაბოროტებულმა მენშევიკებმა ახალი ძალით შემოგვიტიეს. ძალიან მძიმე შეიქმნა ჩვენი პარტიზანული რაზმების მოქმედება. „სახალხო" გვარდიელები სწვავდნენ სოფლებს, აწიოკებდნენ ოსეთის მშრომელებს, ხოცავდნენ ბავშვებს, ძარცვავდნენ მცხოვრებლებს, აუპატიურებდნენ ქალებს, — ერთი სიტყვით, ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადიოდნენ. მაშინ გადასწვეს სოფლები ფრისი, ტბეთი, კუსრეთი და სხვ. იძულებული შევიქენით ცხინვალი დაგვეტოვებინა. დაიწყო სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა გახიზნვა ჩრდილო-ოსეთში. მალე საქართველოში თავისუფლების ბრწყინვალე მზემ შემოანათა, ჩვენ მოვიპოვეთ გამარჯვება. **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხისა და სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ეს იყო 1921 წლის 25 თებერვალს. ამ დღიდან საბჭოთა საქართველოს მიწის პირისაგან სამუდამოდ აღიგავა მეფის სატრაპების, მენშევიკების თარეში. ამ დღიდან იწყება თავისუფალი საბჭოთა ოსეთის მშრომელთა მყუდრო და ბედნიერი ცხოვრება.

გ. რ. ვანეევი

აჯანყების მონაწილე.

ცამეტი კომუნარი

— „ბაქოს კვალს გაჰყვა ცხინვალი"—აღშფოთებული მოსთქვამდა „ბორბა"—ქართველი მენშევიკების რუსული ორგანო.

გაზეთი არ ცდებოდა. ცხინვალისა და ბაქოს კომუნართა შორის გარდა იდეური ანალოგიისა, ასეთი საოცარი თანაფარდობაც არსებობს: 26 და 13. მათ ერთი ბედი გაიზიარეს, ერთნაირად უშიშრად შეხვდნენ სიკვდილს ხალხისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, რადგან იცოდნენ, რომ:

„დღეს—ათი,
ხვალ—ასზე მეტი,
ზეგ მილიონები ვიქნებით
დაიძრას,
დაიძრას მთლად აღმოსავლეთი
ერთიან
აზრით და ფიქრებით".

(ვ. მაიაკოვსკი).

* * *

მღვდელმა კვანჭახაძემ უკანასკნელი ლოცვა წაილუღლუღა, იდაყვი იმ ხელისა, რომელშიაც ჯვარი ეპყრა ლიპზე მაგრად დაიდო, რომ დაეჭირა ოლარი, რომელსაც ქარი აფრიალებდა.

— დრო აღარ არის, მამაო, მორჩით...—ზედმეტად აჩქარებდა გვარდიის რაზმის უფროსი.

— ცოდვის შვილებო, აღიარეთ შეცოდებანი თქვენი—მიმართა მან ცამეტ განწირულ ადამიანს.

უკანასკნელნი სდუმდნენ.

სიბნელის მსახურმა მარცხენა ხელი, რომელშიაც ბარძიმი ეჭირა ოდნავ წინ წაიღო. მისმა განმეორებულმა სიტყვებმა უნებურად მიიქცია ყველაზე წინ მდგომის ყურადღება, რომელიც მანამდე ნახევარი კორპუსით უკან გადახრილი ამხნევებდა ახალგაზრდა ტყვიამფრქვეველს. ეს ყმაწვილი 15 წლის ძლივს იქნებოდა. როცა გვარდიელებმა რიჟრაჟზე დაპატიმრებულთ ცხინვალის ციხიდან გამოსვლა მოსთხოვეს, ვითომდა გორის ციხეში გადასაყვანად, მაგრამ მოულოდნელად გორის გზას გვერდი აუქციეს და ტყვეები ზღუდერისაკენ წაიყვანეს, სადაც სასაფლაოზე ჯერ კიდევ ვეებერთელა ბინდი იწვა, ყმაწვილ- [illegible] რალაც შეეკუმშა და ტირილი მორთო. რაზმის მეთაურს მკერდში გულის მაგიერ ქვა ედო, თორემ ეს ქვითინი მას სისხლს აუდუღებდა. ცხინვალის კომუნის ერთერთმა მეთაურმა—სოფლის მასწავლებელმა ანდრია ჯიოევმა ნაცემ ახალგაზრდას ხელი მოხვია, მკერდზე მიიკრა. პატარა კომუნარმა თავი მაინც ვერ შეიკავა და სასაფლაომდე მას ცრემლი ახრჩობდა.

—რად იწუხებთ, მღვდელო, თავს ჩვენი შეცოდებებისათვის?—მიმართა ანდრიამ ხუცესს, რომელიც ისე დაიბნა, რომ ნაბიჯი წინ წადგა და ანდრიას ჯვარიც გაუწოდა.

— დაიკარგე აქედან. — ველარ მოითმინა ჯიოევმა და მაგრად გაჰკრა მუშტები მღვდელს, რომელსაც ბარძიმი და ჯვარი ხელიდან გაუვარდა.

შარდაცემულმა ხუცესმა პირი იბრუნა გვარდიელებისაკენ, რომელთაც უკვე ნახევარწრე შემოერტყათ კომუნარებისათვის. უფროსმა მაუზერი ხელში მოიმარჯვა და დანარჩენებმაც თოფის ლულა ტყვეებს მიუშვირეს.

მთები გაჩირაღდნებული იყო მოგიზგიზე ცეცხლით, რომელსაც ცაზე ცისკრის შუქი ჩაექრო. ჯიოევმა ფართო შავი თვალები არემარეს მოავლო, ნერვიულად საკინძე გაიხსნა და მთებისაკენ ხელი გაიშვირა.

—სულ ერთია, ჯალათებო! დღეს თუ არა, ხვალ მაინც აფრიალდება ამ მთებზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა,—დასჭექა მან ისეთი ხმით, რომ გვარდიელებმა ვერც კი მოახერხეს ბათქით ეპასუხნათ მეთაურის ბრძანებაზე—„ესროლეთ!" და ახალგაზრდა ტყვიამფრქვეველმაც ტირილი უეცრად შესწყვიტა. შორეული ალის შუქი წითლად ბრწყინავდა პატიმართა თვალებში. ეს კიდევ უფრო ულვივებდა შიშს გულში ჯალათებს.

— რას სჩადით?! ესროლეთ!—გაჰყვიროდა ისტერიული ხმით რაზმის უფროსი.

ცამეტი გმირი—დანიელ და ნიკო- [illegible] რე ცხოვრებოვები, ნიკოლოზ კოტოლოვი, ხოდოვი, სოსიკო გობოზოვი, ივანე თედეევი, ბუთუ ჯესანოვი, რეზო და საშა გიგოლაევები და ის ახალგაზრდა კომუნარი, რომლის ვინაობა არავინ იცოდა—მოცელილებივით ძირს დაეშვა.

გვარდიელებმა დავალება შეასრულეს და ყიჟინით ცხინვალისაკენ დაიძრნენ.

ანდრიამ მკერდზე სითბო იგრძნო.

—სჩანს ცოცხალი გადავრჩი, დამჭრეს მხოლოდ—გაიფიქრა მან და ზეზე წამოდგომა სცადა,—ეს არაფერია, რომ ხელები მიმტვრეული მაქვს, სირბილი ხომ მაინც შემიძლია, ფეხები მრთელი მაქვს და თავიც ნათლად აზროვნობს.

მან ჯერ მუხლებზე წამოიჩოქა, შემდეგ ფეხზე დადგა, სასაფლაოს ყორეს გადაევლო და ვერცხლისფრად მოლივლივე ყანაში ჩაიკეცა სისხლდაცლილი. ცხენოსანმა გვარდიელმა თვალი მოჰკრა მკრთალ სილუეტს და გაქცეულს დაედევნა. დაჭრილი მოსამკალ პურში ეგდო და სისხლის მოწმენდასაც ვერ ახერხებდა, რადგან ხელები არ მოქმედებდნენ.

— ოჰო, ქოფაკო, გადარჩი განა? —დასძახა ლოხოვმა და ნაგანი ყვრიმალში დაახალა.

ოსი მშრომელები გარბოდნენ.

გაქცეულებს თან მიჰქონდათ შურისძიების წმინდა გრძნობა იმ 4775 კაცისათვის, რომლებიც ჯუღელის დამსჯელმა ექსპედიციამ გასწყვიტა, იმ 499 ადამიანისათვის, რომელსაც მათრახის ცემით სული ამოჰხადეს, იმ ათასეული დებისა და დედებისათვის, რომელნიც გვარდიელებმა გააუპატიურეს, იმ 13 კომუნარისათვის, რომელნიც ასე მხეცურად დახოცეს ზღუდერის სასაფლაოზე.

* * *

ოს და ქართველ მშრომელ ხალხს ძმურად გამოუწოდა ხელი წითელმა არმიამ, რომლის დახმარებით მათ დაამხეს მენშევიკური ციხე-სიმაგრე და თავის მიწა-წყალზე ააფრიალეს ოქტომბრის რევოლუციის წითელი დროშა.

ა. გარათელი



13 კომუნარის დახვრეტა მენშევიკების მიერ ცხინვალში 1920 წლის ივნისში.

ნახატი მ. ტუგანოვისა.

სტალინირი. ახალი საავადმყოფო.

ფოტო ვლ. გინზბურგის.

ხარიტონ პლიევი

ჩემო ოსეთო

გახსოვს, ოსეთო, შავბნელი წელი,
როცა ჰილყვავი, როგორც ამირანს,
გულს გიკორტნიდა ნისკარტის ცემით
და ვინ ისმენდა შენს მოთქმა-გმინვას!

გადაეთქვირათ ჯუღელის მხედრებს
სამკალი პური გაშლილ ველადა: —
ჯეჯილი გავდა გაჩეხილ ხეტყეს
და სისხლიანი ხმალი ელავდა.

ეს, სეტყვა როდი გესხმოდა ციდან, —
ტყვიები ჰგლეჯდა შენს გულმკერდს დაღლილს
ეს, წვიმის ნაცვლად, — ცრემლები სცრიდა
აწიოკებულ ოსეთის ხალხის.

მაღალ მწვერვალზე ასული ალი
კაშკაშა მთვარის სხივებს არ ჰგავდა:
ეს—ანთებული ცეცხლი ბრიალით
სოფლის ქოხმახს და აულებს ნთქავდა.

ისმოდა მწარე ქვითინი შენი,
ლტოლვილთა ცრემლი სდიოდა ღვარად,
ტიტვლებს აესხათ ზურგზე ბავშვები
ყიჟინით—„ჩქარა ბიჭიკო, ჩქარა!".

— საით, დედილო?—ერთი მათგანი
ჰკითხავს და სუსხი სწვავს თვალის გუგას
— ჭირმა წაიღოს შვილო, ბატკანი —
ან მოგვკლავს მტერი ან გადაგვბუგავს.

ხევს თოვლიანი ქარბუქი ავსებს
თქეშში მიდიან მთლად გაწუწულნი:
— დედი! ცოტახანს ჩამოვჯდეთ ქვაზე,
მცივა, სიმშილით მიკვდება გული.

წინ, შავ უფსკრულში ჭახჭახებს ტყვია
— ვიჩქაროთ, შვილო გემუდარები —
შენი და-ძმანი ზურგზე მიწყვია
და აბა რითი დაგეხმარები!?

* * *

ჩემო ოსეთო! იზრდები, ჰყვავი,
ლაღობს ველი და მდინარე შენი
ბრწყინავს შენს თავზე ნათელის ხვავი
და მზის ღიმილი სახეზე გშვენის.

დაიმქუხარეს მწყობრად ველებმა
ლაღი სიმღერა მათს გულმკერდს ავსებს
და ჩემი მუზაც თავზე ევლება
შენს სიტურფეს და შენს სილამაზეს.

მსურს დავემსგავსო ფრინველს-გოლიათს —
ქართლს მოვიფრენდი ლაღი გონებით,
სტუმრად ვუხმობდი ყველას მგონია
და შენ გულმკერდში ჩაგაკონებდი.

თან გიმღერებდი, შვირფასო დედავ,
თუ რა დარდები გულზე გეყარა —
რაც წინათ ვნახე, ან რასაც ვხედავ,
ან რით კეკლუცობს ჩემი ქვეყანა!

სთარგმნა **ბიძინა აბულაძემ**

ვ. ცხოვრებაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

ბრძოლისა და გამარჯვების 20 წელი

ბევრჯერ აჯანყებულა ოსი ხალხი თავისი დამმონებლების—მეფეების, თავადების და მათი სატრაპების წინააღმდეგ, რომლებიც ხალხს სისხლს სწოვდნენ, მაგრამ ამ აჯანყებებს ყოველთვის სასტიკად ახშობდნენ ხალხის ჯალათები.

20 წლის წინათ ქართველი ხალხისა და დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, თავისუფლების მოყვარულმა მშრომელმა მთიელმა ხალხმა სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა, მაგრამ აჯანყებულმა ხალხმა მაშინაც დიდხანს ვერ შეინარჩუნა ძალაუფლება.

ახალგაზრდა საბჭოთა ოსეთი რამდენიმე დღის შემდეგ სისხლის მორევში ჩაახრჩეს, ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს ბურჟუაზიის ლაქიებმა — მენშევიკებმა. ხალხი სტოვებდა თავის სახლებს, ძნელად სავალი უღელტეხილებით გადადიოდა კავკასიის მთაგრეხილის მეორე მხარეს მშობლიურ წითელ არმიასთან. იწვოდა ოსების სოფლები, და ეს უხაროდათ მენშევიკ ბანდიტებს. აი რას სწერდა თავის დღიურში ამ ბანდის მეთაური ჯალათი ჯუღელი, „სახალხო" გვარდიის ყოფილი უფროსი, რომელიც ხელმძღვანელობდა სამხრეთ-ოსეთში აჯანყებათა ჩახშობას: „ღამეა. ყველგან მოსჩანს ცეცხლი — იწვის აჯანყებულთა სახლები, ყველგან ჩვენს გარშემო ოსების სოფლები იწვის... მე დამშვიდებული სულით და წმინდა სინდისით ვუცქერ ნაცრად და კვამლად ქცეულ სოფლებს" (ჯუღელი, „მძიმე ჯვარი").

მაგრამ ერთხელვე გადასროლილი ნაპერწკალი ვერ ჩაქრებოდა. მენშევიკების ბატონობას მალე მოეღო ბოლო. ოსმა ხალხმა წითელი არმიის დახმარებით კვლავ აღადგინა სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლება, და ახლა იგი დღესასწაულობს მისი გამოცხადების 20 წლისთავს, ჯამებს თავისი ბრძოლისა და გამარჯვებათა შედეგებს.

სამხრეთ-ოსეთი მეფის რუსეთის ჩამორჩენილი, დაბეჩავებული განაპირა კუთხე იყო. მას არ ჰქონდა მრეწველობა. მადნეული და არამადნეული სიმდიდრეები უქმად იყო მისი მთების წიაღებში.

მთელი მისი „მრეწველობა" თავმოყრილი იყო რამდენიმე შინამრეწველის ხელში, რომლებიც ამზადებდნენ ცულებს, ნალებს, დანებს, სპილენძის ქვაბებს, აგრეთვე ჰკალავდნენ ჭურჭელს — ქვაბებს, ჩაიდნებს.

ახლა კი, 20 წლის შემდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორი განხორციელების საფუძველზე, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს აქვს თავისი მრეწველობა.

ორი სტალინური ხუთწლედის პერიოდში სამხრეთ-ოსეთის რაიონებში შეიქმნა სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ამზადებენ ფხვნილ მარმარილოს, მაღალხარისხოვან ტალკს, დახერხილ ხე-ტყეს, ვენურ სკამებს, წითელ სამშენებლო აგურს, კრამიტს, კირს და სხვა სამშენებლო მასალას.

მეორე ხუთწლედში ადგილობრივი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1926-27 წლების ფასებში შეადგენდა 1.552,4 ათას მანეთს, ორი მილიონი მანეთის პროდუქციას იძლევა წელიწადში შინამრეწველობა.

მრეწველობის კიდევ უფრო დიდი ზრდა დასახულია სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით მესამე ხუთწლედში. ერთიორად და ერთისამად ადიდებენ თავიანთ სიმძლავრეს ჩვენი ქარხნები.

ჩვენი ოლქის წიაღებში ვპოულობთ თუთიის, ტყვიის, დარიშხანის, ნავთის, ქვანახშირის, ნიკელის, რომან-ცემენტის, სპილენძის და სხვა სასარგებლო წიაღისეულთა დიდ საბადოებს. დასახულია ჯავის რაიონში წონის ნავთის ძიების დაჩქარება. გეოლოგების მიერ მოცემული წინასწარი ცნობებით, აქ ნავთის დიდი მარაგია.

წარსულს ჩაბარდა ღატაკი ოსური სოფელი მისი ჩამორჩენილობით. ნაყოფიერ მიწებზე, რომლებიც წინათ თავადების, მემამულეებისა და კულაკების ხელში იყო და რომლებზედაც დასახლებული იყვნენ მეფის კოლონისტები, გლეხების ნაკვეთებად დაქუცმაცებულ მიწებზე შექმნილია საარტელო მეურნეობა, რომელიც აერთიანებს მთელი ოლქის გლეხური კომლების 99,4 პროცენტს. მთიელი გლეხი აღარ განიცდის გაჭირვებას. მას აღარ სჭირდება მევახშეებისაგან ფულის სესხება დიდი პროცენტებით. აღარ არიან მევახშეებიც. აღარ არის საჭირო სოფლებიდან ქალაქად გაქცევა სამუშაოს და პურის საძებნელად. მთიელ ოს ქალს აღარ სჭირდება თავისი ბავშვების მიტოვება და თავადთან დადგომა მისი ბავშვების ძიძად.

საკოლმეურნეო წყობილებამ სამხრეთ-ოსეთის გლეხობას, ისევე როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის გლეხობას, მოუტანა შეძლებული, კულტურული, საამური და ბედნიერი ცხოვრება, რომელზედაც წინათ ოცნებაც არ შეეძლო.

ჩვენი ოლქის კოლმეურნეობებმა ისწავლეს თავიანთ მინდვრებზე დიდი მოსავლის მოყვანა.

1939 წელს მათ საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე აიღეს 11,2 ცენტნერი მარცვლეული კულტურები, რაც გეგმით დასახულს აღემატება 1,2 ცენტნერით. სიმინდის მოსავალი საშუალოდ მიღებულია 21 ცენტნერი ჰექტარზე, ბოსტნეული კულტურებისა — 75 ცენტნერი და ბაღჩეული კულტურებისა — 130 ცენტნერი ჰექტარზე. ხოლო ცალკეულმა კოლმეურნეობებმა კიდევ უფრო დიდ მოსავალს მიაღწიეს.

ჯავის რაიონის სოფელ დიდი გუფთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. ჯიოევმა მიიღო 53 ცენტნერი სამინდი ჰექტარზე, სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ აიღო საშუალოდ 19,42 ცენტნერი ქერი და ა. შ.

სოფლის მეურნეობა უფრო კულტურული და მრავალფეროვანი გახდა. მასში თანდათანობით საპატიო ადგილს იკავებს მეხილეობა და მევენახეობა, რომელიც წინათ აქ არ ყოფილა.

ნაცვლად 200 ჰექტარი ბაღებისა, რომლებიც წინათ თავადაზნაურობას და კულაკობას ეკუთვნოდა, ახლა სამხრეთ-ოსეთში ხეხილის ბაღებს უკავიათ 2400 ჰექტარი.

1940 წელს მთისპირა ზონაში და ოლქის მაღალმთიან ზონაშიც კი, დიდი და პატარა ლიახვის ველებში, ურსტუალის, ვანელის, როკის, გერის, ბელოტის და სხვა სასოფლო საბჭოებში ვრცელდება ხეხილის ყინვაგამძლე მიჩურინული ჯიშები, კომბოსტო, პამიდორი, ნიორი, ხახვი და სხვა ბოსტნეული კულტურები.

სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობის ხვედრითი წონა თითქმის 40 პროცენტს უდრის. იგი სხვადასხვა სახის პირუტყვის მიხედვით გადიდდა ერთიორად, ერთისამად და უფრო მეტადაც.

კოლმეურნეობებთან ერთად ოსურ სოფლებში დამყარდა შეძლებული, კულტურული და ბედნიერი ცხოვრება, წლითიწლობით იზრდება შემოსავალი.

აი საუკეთესო სტახანოველების და ცალკეული კოლმეურნე ოჯახების შემოსავალი.

სამონ ტარაევმა 1939 წელს ოჯახთან ერთად გამოიმუშავა 816 შრომადღე. შრომადღეებზე მიიღო პროდუქტებით: მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები — 111,8 ცენტნერი, ბოსტნეული — 24,48 ცენტნერი, ყველი 40 კილოგრამი, მატყლი 20 კილოგრამი, ფულად 669 მან. 12 კაპ.

ილია ლოხოვმა 1939 წელს გამოიმუშავა 461 შრომადღე. შრომადღეებზე მიიღო პროდუქტებით: მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები — 63,17 ცენტნერი, ბოსტნეული—13,83 ცენტნერი, ყველი 23 კილოგრამი, მატყლი 11,5 კილოგრამი, ფულად 922 მანეთი.

სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეობას 1939 წელს ჰქონდა 220.768 მანეთის შემოსავალი. შრომადღეებზე განაწილებულ იქნა სამარცვლე პარკოსანი კულტურები 11,36 კილოგრამი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები — 0,73 კილოგრამი და ა. შ.

ჩვენი ოლქის 35 კოლმეურნეობა და სოფლის მეურნეობის 74 მოწინავე წელს მონაწილეობას იღებს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

ჩვენი კოლმეურნეობები გახდნენ ბოლშევიკურნი, კოლმეურნეები — შეძლებულნი. საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნეთა ეკონომიკაში თამაშობს ძირითად, გადამწყვეტ როლს.

ოლქის მეურნეობისა და კულტურის განვითარებას დიდად აფერხებდა უგზოობა.

ახლა ოლქი იფარება გზატკეცილების ქსელით.

შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ოლქის საგზაო მეურნეობაში დაბანდებულია 5.653.659 მანეთი. გაყვანილია 271 კილომეტრი საავტომობილო გზა უძნელეს მთიან პირობებში.

სამხრეთ-ოსეთის ხალხის მეგობრის ამხ. **ლ. პ. ბერიას** ინიციატივით და ამხ. **კაგანოვიჩის** დახმარებით განხორციელდა სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა საუკუნეობრივი ოცნება—აშენდა გორი — სტალინირის რკინიგზა.

გზის მშენებლობაში ოლქის მშრომელებმა არაჩვეულებრივად აქტიური მონაწილეობა მიიღეს. მათი ძალებით მოკლე ხნის განმავლობაში შესრულებულია ტრასის ყველა მიწის სამუშაოები.

დღეს ამ ტრასით ოლქის ცენტრში—სტალინირში მოვა პირველი მატარებელი.

მარტო უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე ოლქის ბიუჯეტში გადიდდა 158.700 მანეთიდან 5.712.200 მანეთამდე. სამხრეთ-ოსეთში მუშაობს 141 სამედიცინო დაწესებულება. ერთი სამედიცინო მუშაკის ნაცვლად, რომელიც 1920 წელს იყო, ოლქის ტერიტორიაზე მუშაობს 68 ექიმი, 7 კბილის ექიმი, 182 საშუალო მედპერსონალი, 2 კბილის ტექნიკოსი. არის სამედიცინო ტექნიკუმი 241 მოსწავლით.

თითქმის მთლიანად წერა-კითხვის უცოდინარ ხალხს, რომელსაც მხოლოდ 28 სკოლა ჰქონდა, და ისინიც მენშევიკებმა გადასწვეს 1920 წელს, რომელსაც არ ჰქონდა თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, ახლა აქვს 281 დაწყებითი სკოლა 11.203 მოსწავლით, 47 არასრული საშუალო სკოლა 5.942 მოსწავლით და 29 საშუალო სკოლა 10.046 მოსწავლით. განხორციელებულია საყოველთაო დაწყებითი სწავლება სოფლად და 7-წლიანი სწავლება ქალაქად. სკოლებში მუშაობს 1.200-მდე მასწავლებელი.

მასწავლებელთა კადრების მოსამზადებლად არსებობს პედაგოგიური ინსტიტუტი და პედაგოგიური სასწავლებელი.

ხალხმა, რომელსაც არ ჰქონდა თავისი პრესა, ბეჭდვითი სიტყვა, შეჰქმნა სამი საოლქო და სამი რაიონული გაზეთი, რომლებიც გამოდის მშობლიურ ენაზე, შეჰქმნა ახალი ალფაბეტი. მარტო 1939 წელს სამხრეთ-ოსეთის სახელგამმა გამოუშვა 162.000 ეგზემპლარი სხვადასხვა წიგნი, მათ რიცხვში ოსურ ენაზე თარგმნილი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", ლ. პ. ბერიას „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", მისივე „ლენინ-სტალინის დიადი დროშით", საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებები და სიტყვები, გამოშვებულია დიდი ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის საიუბილეო გამოცემა რუსულ, ქართულ და ოსურ ენებზე, ხალხური ოსური სიმღერების კრებული, კრებული სტატიებისა **სტალინზე**.

ქალაქ სტალინირში არსებობს ორი თეატრი—ოსური და ქართული, მუშაობს ხალხური სიმღერისა და ცეკვის საოლქო აკადემიური ანსამბლი.

სოფელ ცხინვალის ადგილზე შექმნილია 20-ათასიანი მცხოვრებით ლამაზი ახალი ქალაქი სტალინირი — აყვავებული სამხრეთ-ოსეთის ცენტრი. აშენდა უზარმაზარი, სვეტებით მორთული შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა—საბჭოების სახლი, **სტალინის** სახელობის საუცხოოდ კეთილმოწყობილ ფართო ქუჩაზე, ახალი სასტუმრო 100 ნომრით, მთავრდება ვაგზლის შენობის მშენებლობა.

ჩვენი ოლქის წარმატებები არის შედეგი მთელი სამხრეთ-ოსეთის ხალხის, მისი კადრების ბრძოლისა და მუშაობისა. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურებულია 1000-ზე მეტი კაცი, რომლებიც ერთგული არიან **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმისა. ერედვის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რეზო ბერუაშვილი არჩეულია სტალინირის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ, ქალაქ სტალინირის საშუალო სკოლის დირექტორი ე. გასიევა არჩეულია პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივნად, სოფელ ხეთაგუროვის საჯიშე ნაკვეთის აგრონომი ა. ლომინეიშვილი არჩეულია საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. ოდესღაც დაბეჩავებული ოსი ქალი, ახლა ორდენოსანი მწველელი მართა პლიევა კარგად ხელმძღვანელობს როკის კოლმეურნეობას, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთაგრეხილის ზედ უღელტეხილთან.

ოლქის წარმატებებს ბოლშევიკებმა მიაღწიეს გადამწყვეტ ბრძოლაში უცხოეთის დაზვერვათა ბურჟუაზიულ - ნაციონალისტურ აგენტებთან, რომლებიც სამხრეთ-ოსეთში განადგურებულ იქნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად **ლ. პ. ბერიას** ხელმძღვანელობით. ეს წარმატებები თავბრუს კი არ გვახვევენ, არამედ, პირიქით, მოგვიწოდებენ გავწიოთ წინ აყვავებული სამხრეთ-ოსეთისათვის, სამშობლოსათვის, კომუნიზმისათვის საბრძოლველად.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 26 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას:

„გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ცენტრალური ინგლისის აეროდრომებსა და რადიოსადგურს დუვრში.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გერმანიის გამანადგურებლები და მოპიკირე ყუმბარმშენები, ცუდი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, წარმატებით დაესხნენ თავს ლა-მანშის რაიონში ინგლისის სავაჭრო გემების ქარავანს, რომელსაც ბადრაგა ახლდა.

ამ თავდასხმის შედეგად 23 გემიდან ჩაძირულია 11, რაც 43 ათას ბრუტო-რეგისტრულ ტონას შეადგენს. სამი სავაჭრო გემი, 12.000 ტონა საერთო წყალწყვისა, ძლიერ დაზიანებულია. ამ გემებს ხანძარი გაუჩნდათ და შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩაიძირნენ. ამას გარდა, კუნძულ უაიტის სამხრეთით ჩაძირულია კიდევ ერთი სავაჭრო გემი 8.000 ტონა საერთო წყალწყვისა. ამრიგად, გერმანიის ავიაციის მოქმედების შედეგად მტრის ზარალი მარტო გუშინდელი დღის განმავლობაში 63.000 ბრუტო-რეგისტრულ ტონას შეადგენს. ლა-მანშის რაიონში გაიმართა საჰაერო ბრძოლა ინგლისის ავიაგამანადგურებლებსა და გერმანიის თვითმფრინავებს შორის. ამ ბრძოლაში ჩამოგდებულია ინგლისის 9 ავიაგამანადგურებელი. გერმანიის ზარალი 2 თვითმფრინავს შეადგენს.

ინგლისის ავიაციამ 25 ივლისს ღამით ყუმბარა დაუშინა ჩრდილოეთ, დასავლეთ და შიდა გერმანიის ტერიტორიებს.

ყუმბარის დაშენამ უმნიშვნელო მატერიალური ზარალი გამოიწვია. სამხედრო ობიექტები არ დაზარალებულა. ღამის განმავლობაში გერმანიის საზენიტო არტილერიამ მტრის 4 თვითმფრინავი ჩამოაგდო. ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდო გერმანიის ავიაგამანადგურებელმა.

გუშინდელი დღის განმავლობაში მტრის საერთო ზარალი ჰაერში 23 თვითმფრინავს შეადგენს. აქედან 19 თვითმფრინავი ჩამოგდებულია საჰაერო ბრძოლაში. დანარჩენი ჩამოგდებულია საზენიტო არტილერიით. გერმანიის 9 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელთა განცხადება

ნიუ-იორკი, 26 ივლისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვიშიდან იუწყება, პეტენის მთავრობის წარმომადგენლებმა პასუხად ჰელის მიერ პან-ამერიკულ კონფერენციაზე შემოტანილი წინადადებისა, რომ დაწესდეს პროტექტორატი დასავლეთ ნახევარსფეროში ევროპის სამფლობელოებზე, განაცხადეს, რომ საფრანგეთის სუვერენიტეტს პატივისცემით მოეპყრობიან და არ არსებობს იმის საშიშროება, რომ გერმანია შესძლებს ამ სამფლობელოების მიღებას.

საფრანგეთის გაზეთ „ტანის“ განცხადება

ნიუ-იორკი, 26 ივლისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გრენობლიდან იუწყება, საფრანგეთის გაზეთი „ტანი“, რომელიც ამჟამად კლერმონ-ფერანში გამოდის, აფრთხილებს ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ჩაერიოს ევროპის საქმეებში. „ყოველგვარი ასეთი ინტერვენცია უფლებას მისცემს ევროპის ქვეყნებს ჩაერიონ ამერიკის საქმეებში. თუ შეერთებულ შტატებს უნდათ იბრძოლონ ევროპის დემოკრატიების დასაცავად, ღერძის სახელმწიფოებს უფლება ექნებათ იბრძოლონ ამერიკის ფაშიზმის ინტერესებისათვის. ასეთ პირობებში კონტინენტებს შორის ომის შესაძლებლობა უფრო რეალური გახდება“.

ჰიტლერმა რუმინეთის მინისტრები მიიღო

ბერლინი, 26 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დღეს ჰიტლერმა მიიღო რუმინეთის პრემიერ-მინისტრი ჟიგურტუ და საგარეო საქმეთა მინისტრი მანოილესკუ. საუბარი ორსაათნახევარს გაგრძელდა. დღეს საღამოს ჟიგურტუ და მანოილესკუ რომში მიემგზავრებიან.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 27 ივლისი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში, რომელიც გუშინ საღამოს გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ 25 ივლისს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს და ცეცხლი გაუჩინეს საწვავი მასალის საწყობებს ბრემენში, ბოტროპში, კასტროპ-რაუქსელში, დორტმუნდსა და კამენში. გარდა ამისა, ყუმბარები დავუშინეთ საავიაციო ქარხნებს კასელში, ეშვეგში და გოტში, აგრეთვე 14 აეროდრომს გერმანიასა და ჰოლანდიაში. ყუმბარები დავაყარეთ ემის არხს, ჰამბურგის დოკებს და სხვა სამხედრო ობიექტებს, მათ შორის რურის ბრძმედებსა და საქონლის საწყობებს. ჩამოგდებულია მტრის ავიაგამანადგურებელი. ინგლისის ხუთი თვითმფრინავი თავიანთ ბაზაში არ დაბრუნებულა.

ბრძოლები აფრიკაში

ლონდონი, 27 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს აფრიკაში წარმოებული საომარი მოქმედების კომუნიკეს, სადაც ნათქვამია, რომ 26 ივლისს იტალიის ავიაციამ ექვსჯერ დაუშინა ყუმბარები მერსა-მატრუხს (ეგვიპტე). უმნიშვნელო ზიანი მიაყენეს სახელოსნოებს, ყუმბარა მოხვდა აგრეთვე ერთ მცირე ნავთსაცავს, დაჭრილია 4 კაცი. მეორე კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მტრის ავიაცია 25 ივლისს დილა ადრიანად თავს დაესხა ჰაიფას. ბომბარდირების შედეგად ცეცხლი გაუჩნდა რამდენიმე ათას ტონა ნავთსა და საპოხ-ზეთებს. ბომბარდირებამ სამოქალაქო მოსახლეობაში დაახლოებით ასი კაცი იმსხვერპლა.

გიბრალტარის ბომბარდირება

რომი, 27 ივლისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს, რომ წუხელ გიბრალტარში ჩამოყრილ იქნა მსხვილი ყალიბის ყუმბარები. მიუხედავად საზენიტო არტილერიის ძლიერი სროლისა ბომბარდირება ხანგრძლივი იყო. ყუმბარები მოხვდა წინანდელი თავდასხმების დროს დაზიანებულ არსენალსა და ციხეს, აგრეთვე ყაზარმებს. ლა-ლინეიდან იუწყებიან, რომ გიბრალტარის სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია მთავრდება.

პარიზში შექმნილი მდგომარეობა

ნიუ-იორკი, 27 ივლისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, კავშირგაბმულობის მინისტრი ფოსტის, ტელეფონისა და ტელეგრაფის ტექნიკურ პერსონალთან ერთად პარიზს დაბრუნდა. ფინანსთა და საზოგადო სამუშაოთა მინისტრები უფრო ადრე დაბრუნდნენ პარიზს. თუმცა მდგომარეობა პარიზში საერთოდ გაუმჯობესდა, მაგრამ პროდუქტებისა და სხვა პირველი საჭიროების საგნების გაცემა დღემდე მეტად შეზღუდულია. სურსათის ფასებს სასტიკად აწესრიგებენ. კავშირგაბმულობა, რადიოსა და ტელეგრაფს გარდა, უმჯობესდება. მატარებელთა მიმოსვლა დღითი-დღე მატულობს. ბანკები კვლავ გაიხსნა. საწარმოები მუშებს ხელფასს იმავე რაოდენობით აძლევენ, როგორც გერმანელების მიერ ოკუპაციამდე ეძლეოდათ. მთავრობის გამსესხებელი სალაროები სულ ბევრი 99 ფრანკს იძლევიან სესხად.

თეატრები კვლავ გაიხსნა, მაგრამ ებრაელ და ზანგ მსახიობებს აკრძალული აქვთ გამოსვლა. კინოთეატრებს აკრძალული აქვთ ამერიკული ფილმების ჩვენება. შეზღუდვა სურსათის მხრივ გრძელდება. კვირაში სამ დღეს აკრძალულია ხორცის გაყიდვა. მაღაზიები კვლავ გაიხსნა. გაზეთების გამოსვლა განახლდა, მაგრამ მათი უმეტესობა ქაღალდის ნაკლებობის გამო თითო ფურცლად გამოდის.

საფრანგეთის მინისტრის გასამართლება

ბერლინი, 27 ივლისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, „დაიწყო გასამართლება საფრანგეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის მანდელისა, რომელსაც ბრალდება დანაშაულის ჩადენა სახელმწიფოს უშიშროების მიმართ. მანდელი გამოცხადდა ქალაქ მეკნესში (მაროკო) და ჩაბარდა ადგილობრივ ხელისუფალთ“.

საფრანგეთის მთავრობის მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი

ნიუ-იორკი, 27 ივლისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, არსებული ცნობების მიხედვით პეტენის მთავრობამ თხოვნით მიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებს განმარტოს, რა პოზიციას დაიკავებს ამერიკის შეერთებული შტატები დასავლეთ ნახევარსფეროში საფრანგეთის სამფლობელოების დაცვის საკითხში, თუ ამ სამფლობელოებს თავს დაესხმიან არა ამერიკის სახელმწიფოები.

რუზველტის განცხადება

ვაშინგტონი, 27 ივლისი (საკდესი). რუზველტი, უპასუხებდა რა პრესის წარმომადგენელთა კითხვებს თავისი ბრძანების შესახებ, რომლის თანახმადაც რკინის ნამტვრევისა და ნავთის ექსპორტი მხოლოდ ლიცენზიით შეიძლება, უარყოფდა, რომ ბრძანება ემბარგოს წარმოადგენსო. რუზველტმა განაცხადა, რომ იაპონიის ვაშინგტონელი ელჩი წინასწარ იყო ინფორმირებული ამ ბრძანების შესახებ.

განცხადება ინგლისის საშემსყიდველო კომისიისა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 27 ივლისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ინგლისის საშემსყიდველო კომისიამ განაცხადა, რომ მან გაანაწილა 11 ათასი თვითმფრინავის შეკვეთა; აქედან 2.800 უკვე მიღებულია დანიშნულების ადგილას. სულ ხელშეკრულება დადებულია დაახლოებით 2 მილიარდი დოლარის სხვადასხვა სამხედრო მასალის შესაძენად.

ფინელ ჯარისკაცთა მძიმე მდგომარეობა

ჰელსინკი, 27 ივლისი (საკდესი). გაზეთი „კანსან ლეხტი“ იუწყება, რომ ფინეთის არმიაში მეტად ცუდად არის კვების საქმე. შვებულებაში მყოფი ჯარისკაცები ამბობდნენ, რომ დაშორებულ რაიონებში ჯარისკაცები ხანდახან ისეთ აშმორებულ და მატლიან ხორცს იღებენ, რომ როგორც კი ეს ხორცი სამხედრო ნაწილში მოდის მაშინვე მისი მიწაში დაფლვა გვიხდებაო. ცალკეული ჯარისკაცები იძულებული არიან საკუთარი ხარჯით იკვებონ.

ბრძოლები ხმელთაშუა ზღვაზე და აფრიკაში

ლონდონი, 26 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია: „24 ივლისს ინგლისის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ დიდ სამხედრო-საველე საწყობს ბარდიას სამხრეთით. აღნიშნულია ყუმბარების პირდაპირი მოხვედრება. საწყობის ნაწილი სავსებით განადგურებულია „გლადიატორის“ ტიპის ავიაგამანადგურებლები, რომლებიც ყუმბარმშენების მოქმედებას იცავდნენ, მტრის ავიაგამანადგურებელთა დიდ შენაერთს შეხვდნენ. ბრძოლაში ჩამოგდებულია მტრის ოთხი თვითმფრინავი. ერთი იმდენად სერიოზულად დაზიანდა, რომ მან, ალბათ, ვეღარ შესძლო თავის ბაზაში დაბრუნება. ყველა ჩვენი ყუმბარმშენი უვნებლად დაბრუნდა. არ დაბრუნებულა ერთი ავიაგამანადგურებელი. მტრის ავიაცია ორჯერ დაესხა თავს მალტას და უმნიშვნელო ზიანი მიაყენა. მფრინავ ნავს „სანდერლენდს“, რომელიც საპატრულო გაფრენას აწარმოებდა, იტალიის ავიაგამანადგურებელი შეხვდა. ბრძოლა იმით გათავდა, რომ მტრის მანქანამ მართვის უნარი დაჰკარგა და ქვეითკენ დაეშვა“. კაიროდან მიღებულ მეორე კომუნიკეში აღნიშნულია, რომ კაპუცოს ფორტის მახლობლად მტრის ავტოტრანსპორტმა დიდი ზარალი ნახა. სომალის რაიონში გრძელდება მექანიზებული საპატრულო ნაწილების აქტიური მოქმედება. იტალიის მთელ რიგ მოსაზღვრე პოსტებს სროლა ავუტეხეთ.

შემდეგ კაიროდან მიღებულ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ 25 ივლისს დილით ადრე ალექსანდრიას თავს დაესხა მტრის ავიაცია. ჩამოგდებულია რამდენიმე ყუმბარა, რომლებმაც უმნიშვნელო ზიანი მიაყენეს ქალაქს. მოკლულია ერთი კაცი, დაჭრილია 7 კაცი.

რომი, 26 ივლისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის შემდეგ ცნობას: „ჩვენმა ერთერთმა ყუმბარმშენთა ესკადრილიამ, რომელმაც ღამით დიდი გადაფრენა მოახდინა, წარმატებით დაუშინა ყუმბარა გიბრალტარის საზღვაო ბაზას. ჩვენი ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

ჩრდილოეთ აფრიკაში ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს ინგლისის „გლოსტერის“ ტიპის ერთი თვითმფრინავი მაშინ, როდესაც მტერი თავს დაესხა დერნას (ლიბია). მტრის თავდასხმას ჩვენთვის მნიშვნელოვანი ზიანი არ მოუყენებია.

როგორც თვით მტერი აღიარებს, ჰაიფაში ბომბარდირების შედეგად გამოწვეული ზარალი მნიშვნელოვანია. ჰაიფაში რამდენიმე საათს გრძელდებოდა ხანძარი, რომელიც ამ ბომბარდირების შედეგად გაჩნდა“.

ესპანეთში ნავთის გატანის აკრძალვა

ნიუ-იორკი, 26 ივლისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, მთავრობის საზღვაო კომისიამ გამოაცხადა, რომ ამას წინათ მან შეაჩერა 200 ათასი ბარელი ნავთით დატვირთული ორი ტანკერის გაგზავნა ტეხასის შტატის ერთი ნავსადგურიდან ესპანეთში. ამ ტანკერების გაგზავნა შეჩერებულ იქნა იმის გამო, რომ კომისიამ საშიშრად მიიჩნია ამერიკის გემების ასე ახლოს ყოფნა საომარი მოქმედების ზონასთან. მაგრამ, როგორც ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, კომისიის ეს მოქმედება ფაქტიურად ნიშნავს საწვავი მასალისა და საცხები ზეთეულის გატანის აკრძალვას იმ მოსაზრებით, რომ ეს პროდუქტები შეიძლება გერმანიასა და იტალიას ჩაუვარდეს ხელში.

ნიუ-იორკი, 26 ივლისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, მთავრობის საზღვაო კომისიამ განაცხადა, რომ მას არავითარი ზომები არ მიუღია, რათა შესწყდეს ნავთის გაგზავნა პორტუგალიაში. ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, რომ მთავრობის მიერ ესპანეთში ნავთის გატანის აკრძალვა „მიმართულია გერმანიასა, იტალიასა ან იაპონიას შორის შესაძლო შუამავლების წინააღმდეგ“.

გერმანიის კომისრის განკარგულება ჰოლანდიაში

კოპენჰაგენი, 26 ივლისი (საკდესი). გაზეთმა „პოლიტიკენმა“ 21 ივლისს მოათავსა ამსტერდამიდან მიღებული კორესპონდენცია, სადაც ნათქვამია, რომ გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააპატიმრეს მთელი რიგი მოქალაქენი იმისათვის, რომ მათ გარკვეული დამოკიდებულება აქვთ იმ პირებთან, რომლებსაც ადმინისტრაციული პოსტები უჭირავთ ჰოლანდიის ინდოეთში. ეს დაპატიმრება იმის საპასუხოდ მოხდა, რომ ჰოლანდიის ინდოეთში ინტერნირებულ იქნა დაახლოებით 200 გერმანელი.

ჰოლანდიაში შემოღებული იქნება გერმანიის საოლქო სასამართლო და გერმანიის უმაღლესი სასამართლო. ამ სასამართლოების ამოცანას წარმოადგენს გერმანიის იმ მოქალაქეთა ან გერმანიის ყოფილ მოქალაქეთა საქმეების გარჩევა, რომლებმაც ჩაიდინეს ისეთი დანაშაული, რაც მიმართულია გერმანიის ან გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ.

მოკლე ცნობები

○ ერთა ლიგის გენერალური მდივანი ავენოლი გადადგა.

○ ლონდონში არ დასტურდება ცნობა, რომ რუმინეთის მთავრობამ კონტროლი დააწესა ინგლისის ნავთის კომპანია „ასტრო-რომინაზე“.

○ იტალიაში, კვირაში სამი სამარხვო დღის გარდა, შემოღებულია კიდევ ერთი სამარხვო დღე—სამშაბათი. ყველა რესტორანში, სასადილოსა და სასაუზმოში განსაზღვრულია მომსვლელთათვის პურის მიწოდების რაოდენობა.

○ პარიზში გაიხსნა ბანკები და საზოგადოებრივი კრედიტის დაწესებულებანი. მოელიან ბირჟის გახსნას.

○ დასავლეთ ევროპაში ომის განმავლობაში ფინეთმა დაჰკარგა 26 სავაჭრო გემი,—თავისი სავაჭრო ფლოტის 9 პროცენტი.

○ 20 ივლისს ესპანეთის პოლიცია შეეცადა დაეპატიმრებინა 13 რესპუბლიკელი, რომელთაც თავი შეაფარეს ჩილის საელჩოს მადრიდში. დაპატიმრებას ხელი შეუშალეს ბრაზილიისა და პერუს საელჩოების წარმომადგენლებმა.

○ ინგლისის კონცესიის ხელისუფლებამ ტიანძინში იაპონელთა ზეგავლენით განკარგულება გასცა, რომ კონცესიის ტერიტორიაზე მყოფმა ამერიკის რადიოსადგურმა შესწყვიტოს მუშაობა.



წითელდროშოვანი კრეისერი „ავრორა“.

საკდესის ფოტოქრონიკა.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე

მასობრივი ზეიმი ლისის ტბაზე

დღეს, 28 ივლისს სამხედრო-საზღვაო ფლოტის საკავშირო დღის აღსანიშნავად ლისის ტბაზე გაიმართება მასობრივი სახალხო ზეიმი, რომელიც დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე გაგრძელდება.

ზეიმი დაიწყება ლისის ტბაზე მომქმედი ყველა ნავის და ბაიდარების პარადით. პარადის შემდეგ გაიმართება შეჯიბრებები ცურვაში, ნიჩბოსნობაში, აირწინაღებით ნიჩბოსნობასა და წყლის პოლოში.

მოეწყობა აგრეთვე წყალში ჩავარდნილის გადარჩენის ინსცენირება. შემდეგ გაიმართება წყალმყვინთავების მუშაობის დემონსტრაცია. წყალში ჩაშვებულ იქნება 6 მყვინთავი.

ამ დღეს ლისის ტბაზე გაშვებული იქნება გლისერი და იალქნიანი პატარა გემი. დასასრულს ყველა ნავით, ბაიდარით, გლისერით და იალქნიანი გემით გაიმართება მასობრივი სეირნობა ტბაზე.

დილის 7 საათიდან საბჭოთა კავშირის გმირთა მოედნიდან ლისის ტბამდე ივლიან ავტობუსები. დღის განმავლობაში ლისის ტბის პარკში გახსნილი იქნება მშრალი საჭმლის და გამაგრილებელი სასმელების კიოსკები.

მცხეთაში

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესასწაულის აღსანიშნავად მცხეთის წყალსადგურზე შესდგება დიდი სახალხო დღესასწაული. აქ გაიმართება ნავებით სეირნობა, შეჯიბრებები ცურვასა და ნიჩბოსნობაში.

ნაშუადღევის 2 საათისათვის წყალსადგურთან შესდგება მიტინგი, მიძღვნილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის საკავშირო დღისადმი. მიტინგის გახსნის დროისთვის აქ ბორჯომიდან მოელიან 27 ივლისს მცხეთისაკენ გამოსულ მებაიდარეებს. ბაიდარებით გადასვლაში მონაწილეობს 7 ბაიდარი 8 მგზავრით.

სპეციალური მატარებელი, რომელიც დანიშნულია სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესასწაულის მონაწილეების გადასაყვანად თბილისიდან მცხეთამდე და უკან. მატარებელი თბილისიდან გავა დილის 9 საათსა და 35 წუთზე, ხოლო უკან დაბრუნდება საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე (ადგილობრივი დროით).

კომპლექსურ-ალპინისტური ექსპედიცია მთა-თუშეთში

საქართველოს ალპური კლუბი მთა-თუშეთში ჰგზავნის კომპლექსურ ექსპედიციას, რომელშიაც შედიან ალპინისტი-სპეციალისტები — გეოგრაფები, გლაციოლოგები, ეთნოგრაფები და მხატვრები.

ექსპედიციის წევრები შეაგროვებენ მასალებს მთა-თუშეთის გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ. შემდეგ ექსპედიციის წევრები ავლენ დიკლოს და პირჩიტას მთის უსახელო მწვერვალებზე, სადაც ჯერ ადამიანი არ ასულა.

ექსპედიცია მთა-თუშეთში ამ დღეებში გაემგზავრება.

სვანეთის შესწავლა

თბილისიდან სვანეთს გაემგზავრა საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოების მიერ მოწყობილი ექსპედიცია. ამ ექსპედიციამ უნდა შეისწავლოს ციხე-კოშკები და საცხოვრებელი ბინები, რომელნიც ახასიათებენ სვანების ყოფილს თემურ წყობილებას.

ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაშიც არიან არქიტექტორი დ. წილოსანი და ა. გულედიანი და რომელსაც დოც. ს. მაკალათია ხელმძღვანელობს, მესტიასა და უშკულში შეჰკრებს ისტორიულ ცნობებს ბინებისა და ციხე-კოშკების აგების შესახებ, გადმოცემებს, ლეგენდებს, და მოახდენს არქიტექტურულ აზომვას.



ДА ЗДРАВСТВУЕТ СОВЕТСКАЯ ЮЖНАЯ ОСЕТИЯ
ДА ЗДРАВСТВУЕТ СОВЕТСКАЯ ГРУЗИЯ
ВПЕРЕД ЗА БРАТСКИЙ СОЮЗ
ТРУДЯЩИХСЯ ВСЕХ НАЦИЙ

სამხრეთ-ოსეთში 1920 წლის ივნისში მომხდარი მშრომელთა აჯანყების მონაწილეთა ერთერთი რაზმის დროშა.

საინტერესო მოვლენა მზეზე

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომლის ამხ. **შ. ჩხაიძის** დაკვირვებით მიმდინარე წლის 17 ივლისს 9 საათზე და 5 წუთზე (ადგილობრივი დროით) მზის დასავლეთ კიდეზე უმნიშვნელო პროტუბერანცი მოსჩანდა, რომლის სიმაღლე 15.000 კილომეტრს არ აღემატებოდა. დაკვირვების პერიოდში, 9 საათზე და 27 წუთზე, ამ ადგილას შემჩნეულ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილება; არსებულ ფუძეზე აღმართულიყო შესამჩნევი პროტუბერანცი, რომლის სიმაღლემ უცბად 70.000 კილომეტრს მიაღწია, მისი ფორმა და სიკაშკაშე თვალდათვალ განიცდიდა ძლიერ ცვალებადობას და თანდათან სცილდებოდა მზის კიდეს. ხუთი წუთის შემდეგ, ე. ი. 9 საათისა და 32 წუთზე, მისი სიმაღლე 90.000 კილომეტრს აღწევდა. ე. ი. მისი ხილული მოძრაობა მზის კიდედან 65 კილომეტრი იყო სეკუნდში. 9 საათსა და 37 წუთზე პროტუბერანცის ზედა ნაწილი სრულიად მოსწყდა მზის ზედაპირს და მოექცა 125.000 კილომეტრის მანძილზე მზის ზედაპირიდან. ამ დროს მისი ხილული ფართი 100.000 კვადრატულ კილომეტრს აღემატებოდა. ერთი-ორი წუთის შემდეგ იგი სრულიად გაჰქრა მხედველობის არედან.

ეს შემთხვევა წარმოადგენს მზის წიაღიდან წყალბადის მასების ძლიერი და აქტიური ამონთხევის მაგალითს.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიცია სამხრეთ-ოსეთში

თბილისიდან სამხრეთ-ოსეთს გაემგზავრა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების კომპლექსური გეოგრაფიული ექსპედიცია 12 მეცნიერი მუშაკის შემადგენლობით. ექსპედიციას ხელმძღვანელობს პროფ. ვ. ყავრიშვილი.

ექსპედიცია 40 დღის განმავლობაში გაივლის შემდეგ მარშრუტს: სტალინირი—ზნაური—ვანათი—სოხტა — ერწოს ტბა — ჯავა—როკი—ედისი — ყელის ტბა—ბაგრი—წითელი გორი—ოძისი — ქსოვრისი—ქსანი—თბილისი. აქ იგი გაეცნობა ოლქის გეო-მორფოლოგიას, გეოლოგიას, პეტროგრაფიას. გეობოტანიკას, ჰიდროლოგიას და ეკონომიურ გეოგრაფიას.

ექსპედიციის მიერ შეგროვებული ცნობები მოხსენდება გეოგრაფიული საზოგადოების სესიას, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე შესდგება, ეს ცნობები გამოყენებული იქნება აგრეთვე, როგორც მასალა სპეციალური კრებულისათვის. (საქდესი).

ოს დრამატურგთა ახალი პიესები

სტალინირი, (საქდესი). ახალგაზრდა ოსი დრამატურგები მუშაობენ დრამატიულ ნაწარმოებთა შესაქმნელად, რომლებიც ასახავენ ოსეთის მშრომელთა გმირულ ბრძოლას თეთრგვარდიელებისა და მენშევიკების წინააღმდეგ.

დრამატურგი მ. შავლოხოვი ამთავრებს პიესას, რომელშიც აწერილია სამოქალაქო ომის გმირის, ზნაურ ძიდაროვის ცხოვრება და ბრძოლა. ძიდაროვის სახელს ატარებს სამხრეთ-ოსეთის ერთერთი რაიონი და სარაიონო ცენტრი.

დრამატურგი ა. მაყაშვილი მუშაობს პიესაზე „მთიელთა მეგობარი“. ამ პიესაში გამოყვანილია მგზნებარე ბოლშევიკი სერგო ორჯონიკიძე და აწერილია მისი მუშაობა ჩრდილოეთ კავკასიაში 1918-1919 წ.

მომავალი ინჟინრები. მფრინავები, გამომგონებლები

სტალინირი, (საქდესი). ქალაქ სტალინირში გაიხსნა ბავშვთა ტექნიკური სადგური, რომელიც მომსახურებას უწევს 230 მოწაფეს—რადიოტექნიკის, ფოტოგრაფიის და სხვ. მოყვარულებს. მოწაფე ტ. სვირიდოვმა დაამზადა ჯავშნიანი ავტომანქანის მოდელი, რომელსაც მართავენ რადიოს საშუალებით, ს. ჯიოევმა — მოდელი თვითმფრინავისა ბენზინის მოტორით, ვარია ბესლეკოევამ ააწყო ორლამპიანი რადიომიმღები.

სადგურის გარშემო თავს იყრის ნიჭიერი ახალგაზრდობა. აქ იზრდებიან მომავალი ინჟინრები, მფრინავები, გამომგონებლები.

ფეხბურთი

ლენინგრადისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრა

ლენინგრადი, 26 ივლისი (საკდესი). დღეს ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მეორე წრეში თამაშობდნენ ლენინგრადისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები. შეხვედრა ფრედ დამთავრდა ანგარიშით 1:1.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1522436, გაცემული ალექსი თევდორეს-ძე მჭედლიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „დიდი ვალსი; **ოქტომბერი** — „ქალიშვილი ჩქარობს პაემანზე“; **დამკვრელი** (ზაფხულის) — „ზეცაში“; **დამკვრელი** (ზამთრის) — „ზეცაში“; **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „დიდი ვალსი“; **კომკავშირელი** (ზამთრის)—„დიდი ვალსი: **სპარტაკი** — „ყინულოვანი სახლი“; **ლუქსემბურგის სახელობის** — „ასალი“; **26 კომისრის სახელობის** (ზაფხულის) — „დიდი ვალსი“; **26 კომისრის სახელობის** (ზამთრის) — „მეგობრები“; **კომინტერნი** — „უშიშარნი“; **ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — „ახალგაზრდა კაპიტნები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქსახცენტრადიოს საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
28—29—30—31 ივლისს
სამხრეთ გზის რკინიგზელთა ცენტრალური
ჯაზის
გასტროლები
დასაწყისი 9 ს. 30 წ.

ღია ესტრადა
28—29—30-31 ივლისს
ცირკი სცენაზე
დასაწყისი სად. 10 ს.

28 ივლისი
ს. ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი
დიდი სეირნობა
სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად
28 ივლისი

საკონცერტო ესტრადაზე
კონცერტი
მონაწილეობენ:
თ. ბახტაძე (ფილარ. მსახიობი)
ო. დოლიძე (ესტრადის სრ. - საკავშ. კონკურს. ლაურეატი)
ს. ინაშვილი (დამს. არტ. ორდენოსანი)
პ. კობახიძე (დამს. არტ.)
ჭაჭკაჭიშვილი — ლივარდი — ფანდური
გუნდი ხელოვ. დამს. მოღვ. მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით.
დასაწ. 9 ს. 30 წ.

საცირკო ატრაქციონი
„მკვდარი მარყუჟები ჰაერში“
5 სკლოფი 5
დასაწყისი 9 ს. 15 წ.

ახალგაზრდობის ბალი
ნიღაბები, ცოცხალი ყვავილები და სხვ.
დასაწყისი 10 ს.

მხატვრული ფეიერვერკი
დასაწყ. 10 ს.
ხალხში სასულე ორკესტრები
ბაიანები, დუდუკი, საზანდარი
საბავშვო რკინიგზა, ავტოსტრადა, კარუსელი.
90 დასაწყ. სად. 7 ს.

ქალ. თბილისის რკინიგზის და ტროლეიბუსების სამმართველო აცხადებს წარმოება-დაწესებულებების საყურადღებოდ, რომ
13 ივლისიდან 1 აგვისტომდე ტარდება ფასიანი წლიური ბილეთების რეგისტრაცია
ყველა, ვისაც აქვს ფასიანი ბილეთები, ვალდებულია წარმოადგინოს სარეგისტრაციოდ ტრამვაის და ტროლეიბუსების სამმართველოში (ოთახი № 4, ტელმანის ქ. № 8). ის ბილეთები, რომელნიც რეგისტრაციაში არ იქნება გატარებული, ა. წ. 1 აგვისტოდან გაუქმებულად ჩაითვლება.
3—3 № 150 **ტრამვაის და ტროლეიბუსების სამმართველო.**

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულორის პლატო)
28 ივლისი
კარნავალი
მიძღვნილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი
28 ივლისი

28 ივლისი
კონცერტი
მონაწ. **ლ. კავსაძე, ლ. ისეცკი**
მეჩონგურეთა ანსამბლი და სხვები.
დილის 12 საათიდან **საბავშვო სეირნობა**

პარკში
მრავალფეროვანი გასართობები: საქანელა, კარუსელი და სხვ.
ფეიერვერკი

საცეკვაო მოედანზე
ევროპული ცეკვები
დაუკრავს **ჯაზი**
დასაწყისი სად. 10 ს.
დაწვრილებით აფიშებში

სასულე ორკესტრი
დუდუკი
ნიღბები — სერპანტინი
80

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
აცხადებს კონკურსს
შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:
1. პოლიტ-ეკონომიის კათედრის გამგე პროფ. ან დოცენტი.
2. არაორგანიული და ანალიტური ქიმიის გამგე პროფესორი.
3. ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრის გამგე პროფ.
4. მიკრობიოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი.
5. მეაბრეშუმეობის კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი.
კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან განცხადებისა.
განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს: 1. ავტობიოგრაფია, 2. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 3. დიპლომები ან მათი შემოწმებული ასლები, 4. შრომების სია თვით შრომები, 5. დახასიათებანი, 6. საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება (უკანასკნელი სამსახურიდან), 7. წოდებაში და ხარისხში დამტკიცების დოკუმენტების დამოწმებული ასლები. ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა.
განცხადებანი და დოკუმენტები უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, მარის ქუჩა № 33/35, საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. **დირექტორს.**
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი: დოც. ნ. გელაშვილი.
628

რძალი ელპიდა, ძმისშვილები ქეთო, დუღანა, თინა, დათიკო, სიძეებით და შვილიშვილებით იუწყება
მართა ბუჭუას-ასულ მგელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/VII ს. ბახვში. 7288

„პრომსნაბლესის“ მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ორგანიზაციის თანამშრომელ გრიშა ლომთაძეს მისი სიდედრის
ცაცა გამცემლიძის
გარდაცვალების გამო. 7287

სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურენი თანაგრძნობას უცხადებენ პეტრე გამცემლიძეს მისი დედის
მარიამ კონსტანტინეს-ასულ გამცემლიძის
გარდაცვალების გამო. 7286

და ხანუშა ვასილიევა-ერისთავი, დისშვილი ლენა ქმრით მელიტონ თევდორაძით და შვილებით, ძმისშვილები თამარ და შალვა იუწყებიან
მიხეილ ვლადიმერის-ძე ვასილიევის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში (ბუდიონის, 23). 7284

მეზობლები: ჩაფიძე, როსებაშვილი, გიგინეიშვილი, ახობაძე, ჯალაკანიძე, კალანდარიშვილი, რატიანი, ელიავა და გალუგრი იუწყებიან
არსენ ლევანის-ძე გოგეშვილის
გარდაცვალებას. 7290

კ. ტაბატაძე, ნ. სუხიაშვილი, ს. ლაღიძე, შ. ჯანელიძე, ი. გაბუნია, დ. ქვარიანი და ა. მეავანაძე იუწყებიან ა. ნიკოლაიშვილის მამის
მინა ნიკოლაიშვილის
გარდაცვალებას. 92

შვილი შალვა, რძლები მინუცა და გუგული, შვილიშვილები მიშა, ძუგული და დემური ჩიქოვანები იუწყებიან
პელაგია ელიზბარის-ასულ ჩიქოვანის
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/VII 7 ს. წულუკიძის, 10. პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 7291

ბენო, ნინო და ლამარა გოგუები იუწყებიან მამისა და ბაბუას
ვასილ გოგუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ჯუმათში 28/VII. 7293

შვილები მოსე, ბენო, დომინიკა ქმრით მ. მექვაბიშვილით, რძლები მარო და ნინო, შვილიშვილები ლამარა, ცაცია, დემურა, სიმონ, მარო იუწყებიან
მასიკო გოგუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ჯუმათში 28/VII. 7292

მშობლები გოგი, ირა მეავიები, შვილი ლამარათი, ბიძა ალექსანდრე გაგუა ცოლშვილით იუწყებიან პატარა
ომარის
გარდაცვალებას. გამოსვენება 28/VII გეგმის, 25. 7294

დედა გოგუცა, და ცაცა ბუხნიკაშვილები, ბიძები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ 28/VII 6 ს. კუკიის სასაფლაოზედ დანიშნულია
თამარ ვალერიანის-ასულ ბუხნიკაშვილის
პანაშვიდი. 7289

ი. ჩაჩანიძე, ნეპრინცევი, ლომიძე, ლორთქიფანიძე, ომაძე, წვერავა, კანდელაკი, ღუღუნიშვილი, გ. ჩაჩანიძე, თულაშვილი, გაბაშვილი თანაუგრძნობენ ა. ნიკოლაიშვილს მისი მამის
მინა ნიკოლაიშვილის
გარდაცვალების გამო. 7285

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნებისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—61 65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული აა—166